



ახალი ბანათლები

20 - 26 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№31 (745) გაიშინა 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

სკოლა, სადაც მოზლის ჩართულობა დაბალია, ვერასოდეს გახდება დემოკრატიული



რუბრიკის „მოზლის გვერდი“ პირველი სტუმარია ნანა აბაშიძე

რა არის ჩვენი სასკოლო სისტემის მთავარი ნაკლი? – ამ კითხვით გვინდა დავიწყოთ დისკუსია მოზლებთან, რომლებიც, როგორც წესი, ყველაზე ნაკლები აქტიურობით გამოირჩევიან ბანათლების სფეროში მიმდინარე მოვლენების შეფასებისას. იშვიათად ითხოვენ მოზლები, რომ გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი, რომ მათ შვილებს ჰქონდეთ უკეთესი სახელმძღვანელოები ან ჰყავდეთ მათი კვალიფიციური მასწავლებლები. თითქმის, სავსებით არ ფიქრობენ იმაზე, რომ იხსნან შვილები და ოჯახის გიუფათი რეპეტიტორებისგან; სკოლისგან არ ითხოვენ იმ უმნიშვნელოვანეს დეტალებს, რაც ბავშვების ინდივიდუალურ, ასაკობრივ თუ ფსიქოლოგიურ საჭიროებებსა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობას გულისხმობს; არ ინტერესდებიან სკოლაში არსებული ჰიგიენური პირობებით და არც იმით, რით იკვებებიან მათი შვილები სკოლის გუფათებში. შესაძლოა ფიქრობენ ამ ყველაფერზე, თუმცა, საჯაროდ ამაზე საუბარს თავს არიდებენ. შეუძლებელია არ აღელვებდეთ სწავლოვან თუ არა მათი შვილები უსაფრთხო სასკოლო გარემოში, სადაც არ არის ჩაბვრა, ასევე უინტერესო გაკვეთილები და მოწყვდილობა, კონფლიქტი კვდაგობებთან, თავისუფლების შეზღუდვა, სასწავლო პროგრამით გადატვირთვა და ა.შ.

გვერდი 4

გამოცდა – 2016

„აბიტურიენტების ნაწერები, წელს, დაახლოებით, იმავე დონისაა, რაც წინა წლებში გვექონდა, მაგრამ ეს უკვე იქლება შეშფოთების საფუძველს, რადგან ყოველ წელს ცოტათი უნდა გაუმჯობესდეს ვითარება. თუ არ უმჯობესდება, ეს ნიშნავს, რომ სკოლებში საშუალო კარგად არ არის.“

„ყოველწლიურად ვხედავთ, რომორ უფრო და უფრო ღარიბდება ჩვენი შვილების ლექსიკა, რომორ უჭირთ მათ აზრის გამოხატვა იმიტომ, რომ მინიმი ლექსიკა აქვთ.“

„ღელს ჩვენი მთავარი პრობლემა კადრებია. კარგ კადრს რომ მოაგზავდებ, მერე შეიძლება უკვე სკოლაზეც იზრუნო. როგორი კარგი სახელმძღვანელოც უნდა მისცე მასწავლებლებს, თუ ის კვდაგობად არ ვარბა, იმ სახელმძღვანელოს ვერ გამოიყენებს; როგორი კარგი მეთოდოლოგიც უნდა მოვაგზავდეთ, ვერანაირად ვერ გამოიყენებს, თუ ამისთვის მზად არ არის. მთავარია მასწავლებელი, ამიტომ უნდა მოვაგზავდეთ მასწავლებელი.“

კახა ჯამბურია

ლიტერატურის ტესტი
მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
გადალახა აბიტურიენტთა 79,15%-მა

0-20 ქულა	20,85%
21-40 ქულა	43,44%
41-60 ქულა	30,86%
61-80 ქულა	4,85%

გვერდი 2

სინხრომულ განაწილება
ქულების მიხედვით

კვდაგობთა დასახარებლად

დაწყებითი საფხურის კვდაგობთა დასახარებლად ვინწყებთ თამარ მახარაძისა და ზურაბ ვახანიას წერილების სერიას თემაზე – „კითხვისა და წერის სწავლება“. გთავაზობთ პირველ წერილს

დეფისი და მისი მართლწერა

გვერდი 8

ხელმოწერათა საყურადღებოდ!

**დაწყებითი კლასების
კვდაგობებს!**


წიგნი მოზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. ის მოიცავს:

1. საგნობრივ, თეორიულ მასალას
2. ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს

**დაწყებითი კლასების მასწავლებლებს
დაეხმარება საგნობრივი გამოცდისთვის
მოზადებაში**

წიგნის
თარი

2016



გვესაუბრება შიფანისა და გამოსვლის ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელი კახა ჯამბურია

ნახევრად ელექტრონული ფორმატი კომფორტული და ნარმატიული აღმოჩნდა

როგორ ჩაიარა ქართული ენის გამოცდამ წელს, როგორ იყო შედეგები გასულ წელთან შედარებით და როგორ გაართვეს თავი აბიტურიენტებმა გამოცდის ნახევრად ელექტრონულ ფორმატს?

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ეს სიახლე – ნახევრად ელექტრონული სისტემით ჩატარებული გამოცდები, ძალიან წარმატებული გამოდგა. საბედნიეროდ, ახალმა სისტემამ გაამართლა. ადრე იყო შემთხვევები, როდესაც აბიტურიენტები ვერ ასწრებდნენ მუშაობის დამთავრებას, ხან გადაწერას ვერ ასწრებდნენ, ამბობდნენ, რომ დრო არ ეყოთ. წელს ასეთი შემთხვევები არ ყოფილა, გარდა ამისა, ეკრანზე მუშაობა ბავშვებისთვის ბევრად უფრო კომფორტული აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით. მართალია, კომპიუტერს, რომელთანაც მუშაობდნენ და კითხვობდნენ ტექსტებს, პატარა ეკრანი აქვს, მაგრამ თვითონ ტექსტი დიდად არის, გარდა ამისა, შეიძლება მისი გადიდება-დაპატარავება. აღმოჩნდა, რომ აბიტურიენტებმა თავისუფლად იმუშავეს, ხელი არაფერში შეემაღლა. უფრო მეტიც, ერთი უცნაური შედეგი იყო: ადრე, როდესაც ტექსტს დაბეჭდილი ქაღალდიდან კითხულობდნენ, ძალიან ხშირად არასწორად კითხულობდნენ ამა თუ იმ სიტყვას. ეს ჩანდა პირველ ორ დავალებაში, განსაკუთრებით ესეს სათაურის არასწორი წაკითხვა ხშირად იწვევდა იმას, რომ სხვა რამეს წერდნენ. მსგავსი შემთხვევები ახლა აღარ იყო. ეტყობა იმიტომ, რომ ტექსტი უფრო დიდი შრიფტით არის, უკეთ ხედავენ და უკეთ კითხულობენ. ამდენად, ვფიქრობ, ნახევრად ელექტრონულ ფორმატში ჩატარებული გამოცდა ძალიან წარმატებული გამოდგა და სასიამოვნოა, რომ ამხელა ნაშრომებმა კარგად დამთავრდა. გამოცდის ელექტრონული ფორმატი ჩატარება უზარმაზარი ეკონომიაა, გასაოცო, ალბათ, რომ ტესტები იბეჭდებოდა ინგლისში, მერე – ტრანსპორტირება, შენახვა ბანკებში, ეს ყველაფერი ძალიან დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. ამ თანხების გამოთავისუფლებით, ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება საგანმანათლებლო სივრცეში. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს ბევრად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

რაც შეეხება აბიტურიენტების ნაწერებს, ვერ ვიტყვი, რომ ძალიან დიდი სხვაობა წინა წლებთან შედარებით. დაახლოებით, იმავე დონის ნაწერებია, რაც წინა წლებში გვექონდა, მაგრამ ეს უკვე იძლევა შემოფოთების საფუძველს, რადგან ყოველ წელს ცოტათი უნდა გაუმჯობესდეს ვითარება. თუ არ უმჯობესდება, ეს ნიშნავს, რომ სკოლებში საქმე კარგად არ არის და სახელმწიფომ ძალიან სერიოზულად უნდა იფიქროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განათლების ხარისხის ამაღლებაზე.

მაგალითად, ის, რომ ჩვენი ბავშვები ძალიან ცუდად მეტყვებდნენ, ბევრწლიად დამოკიდებულია არა მარტო განათლების სისტემის გარკვეულ ხარვეზებზე, არამედ ჩვენს ტელევიზიებზეც. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი ჟურნალისტები, ხშირად, არ უკვირდებიან ტელეეკრანიდან რას ამბობენ. არ შეიძლება ილაპარაკო ისე, როგორც, ვთქვათ, ჩვენი სპორტული მიმომხილველები ლაპარაკობენ. არ შეიძლება „შეეცადა დაერტყას“ ნაცვლად, თქვა, რომ „ადგილი ჰქონდა ბურთის დარტყმის განხორციელების მცდელობას“. ეს უკვე ქართული აღარ არის. ამას ისმენენ გაუთავებლად ბავშვები. როდესაც ევროპის ჩემპიონატი მიდიოდა, ბავშვები უყურებდნენ და გამუდმებით ესმოდათ – „შედი სუივი გააკეთა“. რას ნიშნავს ეს?! „მეკარემ გადაარჩინა კარი გამვებულ ბურთს“. რატომღაც ამბობენ „კიპერს“, რატომ გავაუქმეთ სიტყვა „მეკარე“ ან რატომ უნდა დავამკვიდროთ ინგლისური სიტყვა („გოლქიფა“) რუსული ტრანსკრიფციით?! რატომ ვამკვიდრებთ, „მეტოქის“ ნაცვლად, „ვიზავის“. ცუდი სიტყვაა „მეტოქე“ ან „მონინააღმდეგე“? ქართული ენის მასიური გაღარიბება, ინგლისური სიტყვების ასეთი მასიური შემოჭრა, რა თქმა უნდა, ბავშვების მეტყველებაზეც იასახება. მაგალითად, მშვენიერი მუსიკალური გადაცემა პირველ არხზე, სადაც ძალიან ხშირად ისმის, „ხმოვანების“ ან „უღერადობის“ ნაცვლად, სიტყვა „საუნდი“. რა საჭიროა,

რატომ ვასმენინებთ ბავშვებს ასეთ არასწორ ქართულს? ამის შედეგს, რა თქმა უნდა, ვხედავთ გამოცდებზე – ისინი, დაახლოებით, ისე მეტყველებენ, როგორც ესმით. ძალიან ცუდია, როცა ამას კანონის დონეზე არ აწესრიგებს სახელმწიფო. მომზადებული იყო ენის კანონი და იქ ეს ყველაფერი ძალიან კარგად იყო გააზრებული და გათვალისწინებული. არ შეიძლება ტელეეკრანიდან ასეთი გაუმართავი ქართული ისმოდეს, ეს სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას. უცხო ენიდან შემოსული სიტყვების დამკვიდრება, როდესაც შეგნებულად ცვლიან პირდაპირ ქართულ შესატყვისებს, დაუშვებელია, ამას რაღაცით უნდა დაუპირისპირდეთ. ყოველწლიურად ვხედავთ, როგორ უფრო და უფრო ღარიბდება ჩვენი შვილები და ღარიბი მეტყველებით. გული შეგიღონდება ხანდახან, რომ მწირი ლექსიკა აქვთ.

მოვუსმინით, თუნდაც, ამინდის პროგნოზს. ყოველდღე გვესმის, მაგალითად, „ხვალ დაფიქსირდება 20 გრადუსი“. სიტყვა „დაფიქსირდება“ ნიშნავს რაღაც საგნის ისე დამაგრებას, რომ არ ირხეოდეს, არ მოძრაობდეს. გადატანითი მნიშვნელობით შეიძლება ვთქვათ, „ხვალ დამაგრდება 20 გრადუსი“?! რატომ დავამკვიდრეთ ეს საშინელი მეტყველება?! მერე გვიკვირს, რომ ჩვენი შვილები ვერ წერენ, ვერ აზროვნებენ გამართულად, გამოირჩევიან ძალიან მწირი ლექსიკით და ღარიბი მეტყველებით. გული შეგიღონდება ხანდახან, მათ ნაწერებს რომ კითხულობ.

რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევები მასიური არ არის, თუმცა, ღირს დასაფიქრებლად. გამოცდაზე ძალიან კარგი ნაწერებიც შეგვხვდა (ვფიქრობთ ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებას). მაგალითად, მივეცით დავით წერეთლის ძალიან რთული ლექსი. სხვათა შორის, ამავე ავტორის მეორე ლექსი, დაახლოებით იმავე სირთულის, შეტანილი იყო მასწავლებლის საგამოცდო ტესტში. ჩვენ ვერ ვნახეთ ძალიან კარგი ნაწერები მასწავლებლების გამოცდის შემდეგ, მაგრამ ბავშვების ნაწერებში რამდენიმე ისეთი კარგი თხზულება იყო ამ ლექსზე (ლექსის ანალიზი საკმაოდ რთული დავალება იყო), რომ სიამოვნებით ვაჩვენებთ საზოგადოებას – აი, რა ნიჭიერი ადამიანები მოდიან ახალ თაობაში და რამდენად მნიშვნელოვანია ამ ახალგაზრდებისთვის სწორი, კარგი, ნორმალური საგანმანათლებლო სივრცის შექმნა.

რამდენიმე წლის წინ აღმოვაჩინეთ, რომ ბავშვებმა არ იციან რა ხდება საქართველოში მეოცე საუკუნეში. ძალიან დიდ ნაწილს ამის შესახებ წარმოადგენს არ აქვს. ჩვენ ეს რამდენჯერმე განვაცხადეთ საჯაროდ, სამინისტროსაც შევატყობინეთ, ამას რეაგირება არ უნდა მოჰყვეს? როცა აბიტურიენტმა არ იცის, რომ არსებობდა სტალინური ეპოქა და იყო რეპრესიები, ან რა იყო ბოლშევიკური ტერორი, ეს ხომ ნიშნავს იმას, რომ ისტორიის სწავლებისას ყველაფერი წესრიგში არ არის, რაღაც შესაცვლელია, მოსაწესრიგებელი. ადამიანი რომ რეზო ინანიშვილის უმარტივეს, თანამედროვე ქართული დანერგულ მოთხრობას ვერ იმეგობებს და იმის საპირისპირო დასკვნას გამოიტანს, რაც იმ მოთხრობაშია, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ძალიან სერიოზული ხარვეზი აქვს განათლებაში, ე.ი. ჩვენი განათლების სისტემა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია.

სხვათა შორის, ჩვენი ცენტრის მთავარი დამსახურება ის კი არ არის, რომ გამოცდებს ატარებს, თუნდაც ძალიან ობიექტურად, ძალიან მნიშვნელოვანია ის კვლევები, რომელიც ჩვენთან ტარდება. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც საერთაშორისო კვლევებში ჩაერთეთ და ცენტრმა პირველად აღმოაჩინა, რომ საქართველო, კითხვის უნარის თვალსაზრისით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, კატასტროფულად დაბალ ადგილზეა. ამის შემდეგ ცენტრმა შექმნა წიგნი, ფაქტობრივად, სახელმძღვანელო – „ნიგინერება“, რომელიც გვიჩვენებს როგორ შეიძლება ამ ყველაფრის გამოსწორება, როგორ გავითვალისწინოთ საერთაშორისო გამოცდილება, რა გავაკეთოთ განათლების სისტემაში ისე, რომ რაღაც არსებობდა შეიცვალოს და ა.შ. კვლევების შედეგების გათვა-

ლისწინება სამინისტროსთვის სავალდებულოა. ჩინოვნიკებმა ცოტა უფრო მეტად უნდა მიაქციონ ყურადღება იმას, რასაც, ვთქვათ, მეცნიერები იკვლევენ. მით უმეტეს, რომ ის ადამიანები, ვინც ამ კვლევას ატარებენ, მარტო შედეგებს კი არ აწვდიან სამინისტროს, არამედ რჩევებსაც, როგორ შეიძლება ამ პრობლემების მოგვარება. გამოცდებიც, ისევე როგორც კვლევები, ფაქტობრივად, გვაძლევს სურათს, რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი განათლების სისტემა. თუ მარტო ამას ვიტყვი, რომ ცუდად არის საქმე და ამით დავამთავრებთ საუბარს, ასე არაფერი გამოვა, ყოველ წელს ერთი და იგივე ან სულ უარესი და უარესი ვითარება გვექნება, საჭიროა რაღაც გააკეთოთ. ოღონდ ეს, რა თქმა უნდა, ცენტრის კომპეტენციას სცდება, სხვა ინსტანციების, კერძოდ, განათლების სამინისტროს და რამდენიმე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცენტრების საქმეა, იქნება ეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი თუ ეროვნული სასწავლო გეგმების. ეს სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა დაიგეგმოს და გამოსწორდეს.

– აბიტურიენტები ხშირად საუბრობენ საგამოცდო ტესტების სირთულეზე. ტესტის დავალებებს შორის რომელი უფრო უჭირთ და რომელს ართმევენ უკეთ თავს?

– აბიტურიენტებს უკვე აღარ უჭირთ პირველი დავალების – ტექსტის რედაქტირების შესრულება. ეს არის ნახევარგვერდიანი ტექსტი, შეცდომებით, რომლებიც უნდა გაასწორონ, ანუ უნდა გადმოწერონ სწორად. ეს დავალება შედარებით უკეთ სრულდება. წელს (გარკვეული ნიშნები წინა წელსაც გამოიწინა) შეგვაშფოთა მეორე დავალებასთან დაკავშირებულმა ტენდენციამ. ამ დავალებაში მოცემულია თემის სათაური, რომლის ირგვლივაც უნდა იმსჯელოს აბიტურიენტი. როგორც ჩანს, რეპეტიტორთა ნაწილმა მიზნად დაისახა, რომ ოღონდ გაართვას თავი საქმეს – ბავშვებს მზა ტექსტები დააბუპირებინეს. ვხვდებოდით ძალიან მსგავს მსჯელობებს და ხშირ შემთხვევაში, ისე წერდნენ, სათაური არც კი იყო გათვალისწინებული. ასეთი შემთხვევები ძალიან დაბალი ქულებით ან ნულზე ფასდება, ამიტომ, ცხადია, ჩვენმა აბიტურიენტებმა მომავალში უნდა გაითვალისწინონ, რომ იოლი გამოსავლის ძებნა – წინასწარ დაიბუპირო ტექსტი და მერე მთარგო სათაურს – ყოველთვის ნამგებია. ბევრ შემთხვევაში ასეთი ნაწერი ნულზე შეფასდება. ჯობია ის სათაური, ძალიან მარტივი და გასაგები, საკუთარი გამოცდილების მიხედვით, რაღაცნაირად წარმოიდგინო, შეავსო და იმსჯელო იმ თემაზე, რასაც ვთავაზობენ. არ არის საჭირო ვიღაცის დაწერილი დაიბუპირო.

ასეთი შემთხვევები იშვიათია მხატვრული ტექსტის ანალიზის დროს, რომელიც, ალბათ, ყველაზე რთულია. მართალია, აქ იშვიათად გვხვდებოდა გაბუპირებული ფრაზები, თუმცა ყურადღება მივაქციეთ ერთ ტენდენციას – ბავშვები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ნაწარმოები ან მწერალი დაიმონონ, რაც სულაც არ არის მითითებული. როგორც ჩანს, პედაგოგთა ნაწილი არასწორ მითითებას აძლევს, რომ აუცილებელია რაღაც პარალელის გავლება, რაც, ასევე არ არის აუცილებელი. მით უმეტეს, თუ ეს პარალელი არაადაეკვატურია, მაშინ აბიტურიენტს ქულა დააკლდება. პირიქით, ჯობია, რაც შეიძლება საქმიანი იყოს მსჯელობა და არ მოწყვედეს ტექსტს, რომელსაც ანალიზებენ. არ არის საჭირო მაინცდამაინც რაღაცას დაუკავშირონ. თუ დაუკავშირებენ, ცხადია, არც ამაშია ცუდი არაფერი, მით უმეტეს, რაც უფრო ადეკვატურია ასეთი პარალელი, მით უკეთესია ნაწერისთვის, მაგრამ ეს თვითმიზანი არ უნდა გახდეს. ძალიან გამაღიზიანებელია, როდესაც გამსწორებელი ხედავს, რომ აბიტურიენტი დაზუპირებულ ციტატებს წერს, მოჰყავს კანტის, ჰეგელის, შოპენჰაუერის თუ ნიცშეს ციტატები. არავინ არ დაიჯერებს, რომ ბავშვები ამას კითხულობენ, ამიტომ ეს არ არის საჭირო. ვიღაცის გამზადებული, თუნდაც ინტერნეტიდან ამოკრეფილი ციტატების დაზუპირება და გამოყენება თხზულებაში არანაირი უპირატესობა არ არის, არც ნიშნის მომატების სა-

გამოსვლა - 2016

ფუძველს იძლევა. ამიტომ, ჯობია ზუსტად შეასრულონ ის მი-
თითებები, რაც არის მოცემული ტექსტის მერე.

– **ხომ არ იგეგმება წელს რაიმე სიახლე ერთიან ეროვნულ
გამოცდებზე?**

– სხვათა შორის, წლებადეულ გამოცდაზე რამდენიმე ბავშ-
ვმა იკითხა, რატომ არ არის საშუალება, რომ არჩევითი პასუ-
ხები თვითონ კომპიუტერში ავირჩიოთ. ამიტომ ჩვენმა დი-
რექციამ პროგრამისტებს მისცა დავალება, ამაზე იმუშაონ.

ვფიქრობ, ისინი ამას შეძლებენ. ნამდვილად არ არის მარტივი
დავალება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გააკეთებენ. ამ მე-
თოდს დიდი უპირატესობა ექნება, იმიტომ რომ, მაგალითად,
უნარების გამოცდა მთლიანად არჩევითი კითხვებისგან შედ-
გება. აბიტურიენტმა შეიძლება იქვე, კომპიუტერში შეავსოს,
იქვე მიიღოს პასუხი და არ უცადოს დიდი ხანი მის სკანირებას,
გასწორებას და ა.შ. ასევე ქართულის ტესტის ის ნაწილიც, სა-
დაც წაკითხვის გააზრება და არჩევითი პასუხებია (თხუთ-

მეტია ასეთი), შეიძლება იქვე შეივსოს. ამით ერთი ნაბიჯით
წინ წავალთ გამოცდების სრულად ელექტრონულ ფორმატზე
გადასვლის თვალსაზრისით. როცა ეს პროგრამა გამოზადდება,
რა თქმა უნდა, არაერთხელ გამოიცდება და გაზაფხულის გან-
მავლობაში ბავშვებს ექნებათ საშუალება, ივარჯიშონ. თუ
ყველაფერი კარგად აეწყო, ეს იქნება ძირითადი სიახლე მომავ-
ალი წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. შინაარსობრივად
ქართულში არაფრის ცვლილებას არ გვეგეგმავთ.

გამოსვლის საშუალებით განათლების სისტემას ვერ ბარდაქმნი და ეს ამოცანა გამოვლას არც უნდა დაუსახო

– **მასწავლებელთა გამოცდასაც ხომ არ შეაფასებდით**

– მასწავლებელთა გამოცდა შარშან ორჯერ ჩავატარეთ –
იანვარში და ზაფხულში. ვფიქრობ, ეს ზედმეტი ფულის ყრა
იყო, საჭირო არ არის წელიწადში ორჯერ ჩატარდეს საგნობ-
რივი გამოცდა. ერთხელ ჩატარებულიც, როგორც ჩანს, გარ-
კვეთულ ეჭვებს იწვევს – რამდენჯერმე მოვისმინე მინისტრის
განცხადება, რომ ეს ზედმეტად რთული გამოცდაა, თუ 80%
იჭრება, ე.ი. გამოცდა არ ვარგა. ეს არასწორი პოზიციაა. რო-
ცა ჩემმა შვილმა შპრახდილომის გამოცდა ჩააბარა, გერმა-
ნიაში სასწავლებლად რომ მიდიოდა, გამოცდებზე გამსვ-
ლელთა 90% ჩაიჭრა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის
გამოცდა არ ვარგა, ეს ნიშნავს, რომ ამ ბავშვებმა არ იცოდ-
ნენ კარგად გერმანული, რადგან გამოცდა ამონებებს, შეუძ-
ლიათ თუ არა მათ გერმანულ ენაზე მიიღონ უმაღლესი გა-
ნათლება. იქ ბარიერის დაწევა არ შეიძლება, იმიტომ რომ,
ვერ მიიღებს სათანადო განათლებას, ვერ გაიგებს გერმა-
ნულს. ასევეა ტოფელის გამოცდის შემთხვევაშიც. ესეც ძა-
ლიან რთული გამოცდაა და ნახევარზე მეტი იჭრება ხოლმე,
მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტოფელის გამოცდის ბარი-
ერი ქვემოთ უნდა დაინიშნოს. რომ დაინიშნოს, ვინც ჩააბარებს
და ნავა სასწავლებლად, ვეღარ ისწავლის ინგლისურად,
შემაღლეს განათლებას ვერ მიიღებს, ანუ ყველაფერს თავისი
მოთხოვნები აქვს.

რა პერსპექტივა ექნება ჩვენს ქვეყანას. ლაპარაკია საქარ-
თველოს მომავალზე, ამიტომ ამ ქვეყანას პერსპექტივა მხო-
ლოდ მაშინ ექნება, თუ ძალიან კარგად გავაცნობიერებთ, რა
პრობლემებია ჩვენ წინაშე და საგულდაგულოდ მივუდგებით
მათ მოგვარებას. მხოლოდ გამოცდები ვერაფერს შეცვლის.
ჩვენი სამინისტროს ჩინოვნიკები (წინა მთავრობა მყავს
მხედველობაში) ცდილობდნენ, გამოცდით მოეხდინათ რაღა-
ცაზე ზემოქმედება. გამოცდა მხოლოდ შემონების საშუალებ-
ებაა, მხოლოდ შეფასების და მეტი არაფრის. გამოცდის საშუ-
ალებით განათლების სისტემას ვერ გარდაქმნი და ეს ამოცა-
ნა გამოცდას არც უნდა დაუსახო.

ლი გეგმები. დარწმუნებული ვარ, ბევრს ფიქრობენ ამ
პრობლემებზე. მარტო გამოცდა, ცხადია, ვითარებას ვერ
გამოასწორებს.

– **პედაგოგი, რომელსაც სკოლაში მუშაობის მრავალ-
ლიანი სტაჟი აქვს და სპეციალობის გამოცდას ვერ აბა-
რებს – ამ პრობლემას, ალბათ, ახალი, კარგი პედაგოგიური
უნივერსიტეტის გახსნა ვერ მოგვარებს, იქ შეიძლება სა-
მომავლოდ მომზადდნენ კვალიფიციური პედაგოგები.
დღევანდელი სურათი კი ასეთია, მასწავლებლებს მინიმალ-
ური ბარიერის გადალახვის პრობლემა აქვთ, აღარ არის
საუბარი მაღალ ქულებზე. შეიძლება ეს პრობლემა ჰქონ-
დეს პედაგოგს საგანში, რომელსაც წლების განმავლობაში
ასწავლებს?**

– **თუმცა არაერთი წელია, ეს გამოცდები ტარდება და
დგება ცუდი შედეგები, შემდეგ იწყება მიჩუმების მცდე-
ლობა, რომ მასწავლებლებს არ ვაწყენინოთ და არ შეურაცხ-
ვყოთ მასწავლებლის სახელი. ხომ არ სჯობდა თავიდანვე
ამაზე ღიად საუბარი და წარუმატებლობის გამომწვევ მიზე-
ვებზე ფიქრი?**

– რა თქმა უნდა, არ შეიძლება. როდესაც ჩვენს ცენტრს
განათლების სამინისტრომ ამ გამოცდის მომზადება დაავა-
ლა, პირველი, რაც ჩვენმა ჯგუფმა გააკეთა, იყო მასწავლე-
ბელთა დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადება. გააკეთა
ჩვეუთომეული, რაშიც ძალიან დიდი შრომა ჩაიდო. ეს
ფუნქციის არავის დაუვალავია, უბრალოდ ვიცოდით, რომ
მასწავლებელს არ შეიძლება მოსთხოვო ის მაღალი სტანდარ-
ტი, რაც დაანება სამინისტრომ ისე, რომ მომზადების საშუა-
ლება არ მისცე. ამიტომ ხუთჯომეული რომ მომზადდა, ვთხო-
ვეთ სამინისტროს, ყველა სკოლისთვის საჩუქრად დაერიგე-
ბინა, რაც, სამწუხაროდ, არ გააკეთეს. არადა, ეს ხუთჯომეუ-
ლი 50 ლარი ჯდება და ძალიან ბევრმა მასწავლებელმა ვერ
შეიძინა, მხოლოდ მცირე ნაწილმა. გამოვიდა, რომ სულ ტყუ-
ილად ვიპრობეთ ორი წელი.

– მართალია, ძალიან ხშირად ჩვენი პოლიტიკოსები, ჩი-
ნოვნიკები ფიქრობენ გარკვეულ პოლიტიკურ სარჩულზე. ასე
არ შეიძლება. წინა მთავრობამ რამდენჯერმე არასახარბიე-
ლო მოვლენები შეგნებულად შეაღამაზა, რაც დაუშვებელია.
ჩვენს შვილებზეა საუბარი და ჩვენი ქვეყნის მომავალზე. რო-
გორ შეიძლება ადამიანმა ბავშვებს ქართული ლიტერატურა
ასწავლოს, როდესაც თვითონ არ აქვს ნაკითხული „ვეფხის-
ტყაოსანი“ ან წარმოდგენა არ აქვს „დავითიანზე“, რომელმაც
არ იცის ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. ასეთი ადამიანი შეიძ-
ლება შეუშვა სკოლაში ქართულის მასწავლებლად? ცხადია,
არ შეიძლება, მაგრამ რომ არ შევუშვათ, რა უნდა ვქნათ? უნ-
და მოვამზადოთ. დარწმუნებული ვარ, ეს შესაძლებელია. ად-
ვილი არ არის, ძალიან ძნელია, მაგრამ განა ადვილი იყო, ასი
წლის წინ, ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტი რომ დააარსა?
ადვილი იყო, გასული საუკუნის 10-იან წლებში, მთელ მსოფ-
ლიში გაბნეული უმაღლესი რანგის მეცნიერების ჩამოყვანა
საქართველოში? ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ხომ მოხერხდა.
მამის საქართველოში ევროპული დონის უნივერსიტეტი შე-
იქმნა. ეს დღესაც შესაძლებელია. მსოფლიოში ძალიან ბევრი
კარგი ქართველი მეცნიერია, ბევრი კარგი პროფესიონალია
გაბნეული სხვადასხვა ქვეყანაში. შეიძლება ამ ხალხის ჩამოყ-
ვანა და ძლიერი უმაღლესი სასწავლებლის შექმნა, ოღონდ
ერთი უმაღლესი სასწავლებლის და არა 250-ის. 250 კარგ
უმაღლეს სასწავლებელს საქართველო ვერ შექმნის, იმიტომ
რომ, არ არის ამის კადრები. ერთი უნდა დავიწყოთ ისე, რო-
გორც საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაიწყო ჯავახიშვილმა. მან
ძალიან სწორი გადამწყვეტილება მიიღო – ერთი ძლიერი უნი-
ვერსიტეტი, რომლის გარშემო მერე ძალიან ბევრი რამ გაერ-
თიანდება და აიგება, იმიტომ რომ, იქ მომზადდება კვალიფი-
ციური კადრები.

– **ფაქტია, რომ მასწავლებლებს დახმარება სჭირდებათ,
თუმცა ეს პრობლემები ბავშვებზე არ უნდა გადატყდეს. არ
უნდა ვთქვათ, რომ ამ მასწავლებელმა შეიძლება არ იცის
თავისი საგანი, მაგრამ კარგი ადამიანია, კარგი პატიოტია
და ამიტომ, მოდი, შევუშვათ სკოლაში. ეს რას ნიშნავს?
ვუთხრათ ამ ქვეყანას, ამ საზოგადოებას, რომ პროფესიო-
ნალიზმი საჭირო არ არის? შეიძლება ამის თქმა ივანე ჯავა-
ხიშვილის, გრიგოლ წერეთლის, გიორგი ჩუბინაშვილის, დი-
მიტრი უზნაძის, კორნელი კეკელიძის და სხვათა ქვეყანაში?
რა თქმა უნდა, არაფრით არ შეიძლება. პროფესიონალიზმი
უნდა მოეთხოვოს ყველას, უბრალოდ, ხელიც უნდა შე-
ვუწყეთ, მივცეთ საშუალება, რომ პროფესიულად განვი-
თარდნენ. ამისთვის არსებობს მასწავლებელთა პროფესიუ-
ლი განვითარების ცენტრი და ალბათ მათ აქვთ კონკრეტუ-**

რომ მოამზადებ, მერე შეიძლება უკვე სკოლაზეც იზრუნო.
როგორი კარგი სახელმძღვანელოც უნდა მისცე მასწავლე-
ბელს, თუ ის პედაგოგად არ ვარგა, იმ სახელმძღვანელოს ვერ
გამოიყენებს; როგორი კარგი მეთოდებიც უნდა მოვამზა-
დოთ, ვერანაირად ვერ გამოიყენებს, თუ ამისთვის მზად არ
არის. მთავარია მასწავლებელი, ამიტომ უნდა მოვამზადოთ
მასწავლებელი.

ესაუბრა **ლალი თვალაპიშვილი**

ინფორმაცია

ლაბალოში ახალი სკოლა აშენდა

საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში,
საქართველოს მასშტაბით, ერთ-ერთი ყვე-
ლაზე დიდკონტინენტური საჯარო სკოლის
მშენებლობა დასრულდა. შედეგად, 1000-ზე
მეტი მოსწავლე სწავლას ახალ, თანამედრო-
ვე სტანდარტების შესაბამის სკოლაში გააგ-
რძელბს, სადაც მათთვის ყველა პირობაა

შექმნილი. გათვალისწინებულია ყველა დე-
ტალი, მათ შორის, ადგილმდებარეობის სპე-
ციფიკა. სკოლის შენობა უზრუნველყოფი-
ლია: თანამედროვე გათბობის სისტემით;
სპორტული და სააქტო დარბაზებით; ბიბლი-
ოთეკით; ექიმის კაბინეტით; საინფორმაციო
ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო

კლას-კაბინეტებით; სასადილოთი; 300 კვ.მ-
ის ლია სპორტული მოედნით. შენობა ადაპ-
ტირებულია სპეციალური საგანმანათლებ-
ლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის
საც და ერთ-ერთი პირველი სკოლაა, სადაც
ლიფტი ფუნქციონირებს. ამ ეტაპზე, სკოლის
ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება
მიმდინარეობს.

ტრი მთელი რაიონისათვის. ეთნიკური უმ-
ცირესობის ინტეგრაციის პოლიტიკის გატარ-
ების თვალსაზრისით აქ საუკეთესო სა-
განმანათლებლო და ინფრასტრუქტურული
გარემოა. ყველა ის შესაძლებლობა, რომე-
ლიც თითოეულ მოსწავლეს სჭირდება იმი-
სათვის, რომ სწორად განვითარდეს იმ
მოთხოვნების შესაბამისად, რაც ჩვენი სა-
ხელმწიფოს წინაშე დგას. სასიხარულოა,
რომ მოსწავლეების, მასწავლებლების,
მშობლების გახარებულ სახეებს ვხვდავთ.
მათ აქვთ მაღალი მოტივაცია და პირობას
დებენ, რომ ყოველი სასწავლო დღე იქნება
ახალ-ახალი მიღწევების დასაწყისი.”



შეგახსენებთ, წლების განმავლობაში, სო-
ფელ ლამბალოს მოსწავლეები ოჯახებში
მოსწობდნენ არასტანდარტულ, სასწავლო
პროცესისათვის სრულიად შეუფერებელ
საკლასო ოთახებში სწავლობდნენ.

ახალი სკოლა საქართველოს განათლები-
სა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე-
მა – ქეთევან ნატრიაშვილმა და ლია გიგაურ-
მა გახსნეს.

– **ლია გიგაური, განათლებისა და მეცნიე-
რების მინისტრის მოადგილე: „დღეს განსა-
კუთრებულია ემოციური და საამაყო დღეა
არა მარტო ლამბალოს მოსახლეობისა და
მოსწავლეებისათვის, არამედ ახლომდებარე
სოფლებისთვის. სკოლა, რომელიც დღეს გა-
იხსნა, არის არა მხოლოდ თანამედროვე
სტანდარტების შესაბამისი, არამედ ის გახ-
დება კულტურულ-საგანმანათლებლო ცენ-**

დავით როსტომაშვილი, ლამბალოს სა-
ჯარო სკოლის დირექტორი: „პირველ რიგ-
ში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ხე-
ლისუფლებას, იმისთვის, რომ ასეთი კარგი
სკოლა აგვიშენა. ყველას მოგეხსენებათ,
თუ რა პირობებში უზღებოდა ლამბალოს სა-
ჯარო სკოლას სასწავლო პროცესის წარ-
მართვა. მთელი სოფელი აღფრთოვანებუ-
ლია დღევანდელი დღით. კიდევ ერთხელ
დიდი მადლობა.“

მომზადა **მაკა ყიფინაძე**

მშობლის გვირგვინი

სკოლა, სადაც მშობლის ჩართულობა დაბალია, პირასკოდეს განსვლა დემოკრატიული

პირველი გვერდიდან

თუკი განათლების სისტემის ყველაზე პასუხისმგებელი – მშობლები – ამ პრობლემის შესახებ არ-გზომენტირებულად, გააზრებულად ისაუბრებენ და მათი კომუნიკაცია დაგეგმვა მათსა და სკოლას შორის, სისტემის დანარჩენ აქტიურ რგოლებს (ვისაც გარკვეული პასუხისმგებლობა ეისიერებათ) საქმის გაუადვილებენ და, საერთო ჯამში, პრობლემის უფრო ეფექტურად მოგვარდება.

დროა ნელ-ნელა, „მშობელთა კრების“ ფორმატი თანამშრომლობიდან პარტნიორობაზე გადავიდეთ. ამ რუბრიკას „მშობლის გვირგვინი“ დავარკვეთ და გვირგვინი არაფორმალურად, მაგრამ მასწავლებელს ჩვე-თვით მშობლები განათლების სისტემაში და საკუთარ-რი მოსაზრებებისა თუ პრაქტიკის გამოხატვად, ასევე დადებითი მხარეების წარმოსაჩვენად ჩვე-ნი რუბრიკა შევთავაზოთ. მთავარ მიზნად კი ეფექ-ტიანი და კეთილგანწყობილი სასკოლო გარემოს შექ-მნა დავისახოთ, რომელიც შესაძლოა წარმოსახვითი იყოს, მაგრამ გულწრფელი. ვნახოთ, როგორ სკოლაში სურს მშობელს, რომ ისწავლოს მისმა შვილმა.

რუბრიკის პირველი სტუმარია ნანა აბაშიძე



ლაში. ასეთი გამოსავალი უარყოფითად აისახება ბავშვის გა-ნათლების პროცესზე, სკოლაზე და უშუალოდ მოსწავლეზე.

მილფორდის, ორჩარდ ჰილსის სკოლაში, 2005 წლიდან, და-ინყო დოქტორი ეფუტეინის მიდგომით მშობელთა ჩართულო-ბის პროგრამის განხორციელება. „რადგან ყოველმომცველი პროგრამაა, – აცხადებს დირექტორი ქეთლინ მერფი – ეს არ არის პროგრამა მხოლოდ მშობელთა მოხალისეობის შესახებ, ეს არის მთლიანად საზოგადოების ჩართულობისა და იმის შე-სახებ, თუ როგორ შეუძლიათ მშობლებს დაეხმარონ სკოლას და პირიქით. ეს არის სწავლება, რომელიც მშობელი თავად-ვე დაინტერესდება სკოლის ცხოვრებით და არსებული მდგო-მარეობით.“

ამავე სკოლის საზოგადოებასთან პარტნიორობის ჯგუფი ფოკუსირებულია მშობლების ინფორმირებულობაზე, თუ როგორ განუვითარონ შვილებს კითხვითი უნარები. მასწავ-ლებელი და მოსწავლეები ირჩევენ ნიგნს, ბავშვები მშობლებ-თან ერთად კითხულობენ სახლში, შემდეგ სკოლა აწყობს სა-ლაშოს, სადაც ბავშვებთან ერთად მიწვეული არიან მათი მშობლები. მასწავლებელი სვამს კითხვებს ნაკითხული ნიგ-ნის გარშემო, რომელსაც ბავშვები მშობლებთან ერთად პასუ-ხობენ. ერთი თვის შემდეგ კვლავ იკრიბებიან, რათა უკვე სხვა ჭრილში განიხილონ ნაკითხული ნიგნი.

პროგრამა იმდენად პოპულარული გახდა, რომ მშობლებმა ჩამოაყალიბეს საზოგადოებრივი-სამკითხველო კლუბი სახელწო-დებით – „კითხვის ოსტატი“, რომელშიც ძალიან ბევრი ბავშ-ვია ჩართული. კიდევ ერთი პროექტი, რომელსაც მშობლების ძლიერი მხარდაჭერა აქვს, არის პარასკევის საქალაქელები (FRIDAY FOLDERS). მოხალისეები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია, ყოველკვირეულად აკეთებენ საინფორმა-ციო ფურცლებს სკოლაში მიმდინარე პროცესების, დაგეგმი-ლი აქტივობების, კონკურსების, პროგრამების შესახებ, რომ-ლებსაც მშობლები უნდა გაეცნონ და მოაწერონ ხელი. ჩარ-თულობის მაჩვენებელი აქაც მაღალია.

ნიგნიერების ზრდაზე ფოკუსირდებოდა, 2005 წელს, ოჰაიო-ის მუნიციპალური სკოლის რაიონული დეპარტამენტიც. ოჯა-ხისა და საზოგადოების ჩართულობა გულისხმობს სემინარებს მშობლებისათვის, თუ როგორ შეუძლიათ დაეხმარონ შვილებს სწავლაში და ცხოვრებისეული უნარების შექმნაში. ამ რეგიონ-ში არის მშობელთა და ბავშვთა ნიგნის კლუბები, სადაც ბებიე-ბი, ბაბუები და სხვა დაინტერესებული პირები მიდიან და უკითხავენ ბავშვებს ნიგნებს. ასევე, არის ნიგნის კლუბი მოზ-რდობისათვის. მოზარდები კითხულობენ და განიხილვენ ნიგ-ნებს. ეს არის მომავალი თაობისთვის მაგალითის მიძევა.

„ჩართულობას ერთგვარი გადაწყვეტილებები ხსიათ აქვს და ბავ-შვები თავად ითხოვენ, როცა ხედავენ სხვისი მშობლების აქტი-ურობას“ – ამბობს ლოუნდის საშუალო სკოლის დირექტორი. სწორედ ეს სკოლა იმის მაგალითი, როგორ უნდა განხორცი-ელდეს მშობელთა გრძელვადიანი პროგრამები. აღნიშნულ სკოლაში, მშობელთა ჩართულობის შემდეგ, ბავშვთა მოსწრე-ბის დონე მათემატიკაში 64%-დან 81%-მდე გაიზარდა. სკოლა აგრეთვე სთავაზობს მათ „შესანიშნავ ოთხშაბათს“, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მშობლებს, მივიდნენ და ისაუბრონ იმაზე, რა შეუძლიათ გააკეთონ სკოლის დასახმარებლად. გა-სულ წელს გახსნეს მშობელთა რესურსების ოთახი, სადაც მათ უტარდება ტრენინგები, სემინარები, ბავშვები ეხმარებიან მშობლებს კომპიუტერული უნარების შესწავლაში. ამ დროს, მასწავლებელს საშუალება ეძლევა, მშობელთან ერთად იმუშა-ოს ბავშვების ინდივიდუალურ საკითხებსა და სტრატეგიებზე. რა თქმა უნდა, მშობლებთან ურთიერთობა ძალიან დიდ ძა-ლისხმევას მოითხოვს, მაგრამ სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობა ყველაზე მნიშვნელოვანია და ნამდვილად ღირს ცდა და ძალისხმევა.

ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მშობელს ინ-ფორმაციას მარტო მოსწავლის წარუმატებლობისა და პრობ-ლემების შემთხვევაში კი არ უნდა აწოდებდნენ, არამედ საუ-კეთესო მიღწევებისა და საქციელისთვის და მადლობის სათ-ქმელადაც. მშობლის სკოლაში მისვლა იმითაცაა მნიშვნელო-ვანი, რომ მას ეძლევა შესაძლებლობა, საკუთარი თვალთ-დაინახოს მასწავლებლის სწავლების სტილი, ნახოს შვილი სასწავლო პროცესში. საოცრად კარგი გრძობაა, როცა მშობლები შვილებთან ერთად მიდიან სკოლაში და მასწავლე-ბელი აცნობს მათ ბავშვის შედეგებს, მუშაობის პროცესს და ეხმარებათ, მეტად ჩაერთონ სკოლის ცხოვრებაში.

P.S. ამას წინათ ჩემმა შვილმა, ნიგნის კითხვისას, გამაჩერა და მითხრა: დედა, ხვალაც მიწა, რომ სკოლა იყოს. არადა, ხვალ დასვენების დღეა. მიხარია, რომ დღეს ჩემი შვილი უკვე იმ სკოლაში დადის, რომელმაც მიმახვედრა, რას ნიშნავს მო-წესრიგებული სისტემა. სახელმწიფომ მასწავლებლებს მოწეს-რიგებულობაში უნდა უხადოს ფული და იმ განათლების მი-ხედვით, რომელსაც მოსწავლეებს აძლევს და არა ბავშვებისა და მშობლების გამწარებაში, მოძალადეობაში ჩამოყალიბებაში.

რუბრიკას უძღვება ლალი ჯელოაძე

მასხენდება ჩემი სკოლის წლები, როცა ბავშვები მშობლე-ბისგან დახმარებას ვითხოვდით, მათი მხრიდან კი ასეთი პა-სუხი ისმოდა: გაჩუმი და გაუძელი, სირცხვილიაო!

მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ ვხედავთ, რომ ამ კუთხით სკოლაში არაფერი შეცვლილა. ალბათ, ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენც იმ დროს აღზრდილი მშობლები ვართ, რო-ცა გვარწმუნებდნენ, რომ განსხვავებული აზრის ქონა ან სა-ხელმწიფო ინსტიტუტების (მათ შორის სკოლის) გაკრიტიკე-ბა არასახელმწიფოებრივია. მაგრამ, თუ გავიხსენებთ რას ვგრძნობდით მაშინ, როცა მშველელი არ გვყავდა, აუცილებ-ლად მივხვდებით, რამდენად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში. ეს საკითხი აუცილებლად უნდა დავიხსენოთ და ვინ უნდა გააკეთოს, თუ არა ჩვენ – მშობ-ლებმა და სკოლამ ერთობლივად.

დღევანდელი სასკოლო სისტემის ნაკლოვანებებზე, რო-გორც პროფესიონალი, ვერ ვისაუბრებ, რადგან ეს განათლე-ბის ექსპერტის კომპეტენციაა, მაგრამ განვიხილავ ჩემი, რო-გორც მშობლის, თვალთ დახმარებას ხარვეზებს. პირველ რიგ-ში, მინდა, ვისაუბრო იმ მოძველებულ სწავლების მეთოდებ-ზე, რაც ჩვენს განათლების სისტემას საბჭოთა კავშირიდან მოსდევს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ უმეტესად ის მასწავლებლები ასწავლიან, რომლებზეც საბჭოთა სისტემამ დიდი გავლენა მოახდინა. მათი უმრავლესობა, თითქოს, დროში ჩარჩა და არ აქვთ სიახლის მიმდებლობა.

კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც განათლების ხარისხზე მოქმედებს, მასწავლებლების დაბალი ანაზღაურე-ბაა. ყველა მინისტრი, რომელიც განათლების სისტემას იბა-რებს, პედაგოგებს ხელფასის გაზრდას პირიქით, უმნიშვნე-ლოდ, მაგრამ, მაინც იზრდება ხელფასები. თუმცა, საკითხა-ვია, მიგვიყვანს კი მხოლოდ ეს მიზნადმდე? ხელფასის ზრდა, ალბათ, მაინც მხოლოდ მასწავლებლების გულის მოგებაა, რადგან მეტი ანაზღაურება ვერც მოტივაციაა და ვერც მოძ-ველებულ შეხედულებებს შეუცვლის მათ. უმჯობესი იქნება, თუკი სამინისტრო თანხას მასწავლებლების ისეთ საკითხებში გადაზიდვებში ჩადებს, როგორცაა ადამიანის უფლებები, ძალადობა, თანასწორობა, კლასის მართვა. მაგრამ სახელმწი-ფო, სამწუხაროდ, მხოლოდ ხელფასის ზრდაში ხედავს წინსვ-ლის გზას.

მასწავლებლების დაბალი კვალიფიკაციის გამოძახილია დღევანდელ სკოლაში ბულინგის, დაცინვის, ძალადობისა და დამცირების შემთხვევების სიხშირე როგორც ბავშვების, ასევე მასწავლებლების მხრიდანაც. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ისინი ვერც კი იზრუნენ ამ ყველაფრის შედეგს. თუნდაც თავისი საქმის მცოდნე მასწავლებელს კლასის მარ-თვა იმდენად უჭირს, რომ თავს ვერ არიდებს ბავშვებზე ფსი-ქოლოგიურ თუ ფიზიკურ ძალადობას, რაც მხოლოდ იმის ბრალია, რომ კლასის მართვისთვის შესაბამისი უნარები არ აქვს და ყურის ანევა, თმის მოქაჩვა, მუფლუგუნის მისთვის ჩვეულებრივი მოვლეხა. ბავშვის ქცევის გაგებას კი, არაფერ-ც ვითვალის. ბავშვი თუ სახლში მოყვება მასწავლებლის მიერ განხორციელებული ძალადობის შესახებ, მშობელი ინფორ-მაციას ისევ მასწავლებელთან გადაამოწმებს, ისევ მასთან მიდის. საბოლოოდ კი ყველაფერს, მაინც, ბავშვს შეაწმენდენ, რომ ზედმეტად მგრძობიარეა და არაფერი მომხდარა (მაგ-რამ ვაი, რომ, რასაც არ ლაპარაკობენ, ისე რამდენი რამ ხდებ-ბა?!), მშობელიც ივიწყებს ყველაფერს.

აქვე, მივდივართ მშობლების იმ მნიშვნელოვან პრობლე-მამდეც, რომელსაც შიში ჰქვია. ვინაა შიში, თითქოს, ბრა-ზობენ, იმუქრებიან, იბრძვიან, მაგრამ სადაც საჭიროა, იქ ჩუმდებიან. უფრო მეტიც, ილიმიან და გულგრილ გამომეტყ-ველებას იღებენ მაშინაც კი, როცა რომელიმე მათგანი, უფ-რო მეტად გამბედავი, სისტემის ან მასწავლებლის მხილებას გადაწყვეტს. მათიც მესმის, რადგან ხმის ამოღება და სისტე-მის მხილება მარტივი არ არის – ან შენს შილს ამოიჩემებს მასწავლებელი, ან თვითონ მშობლის წინააღმდეგ ნეგატიუ-რად განაწყობს დანარჩენ მშობლებს. ამიტომაც, რომ ზედმეტ-პრობლემებს ურჩევნიათ, ისევ თავიანთი შვილები გააჩუქონ. მეერ რა, რომ მასწავლებელი დიდად არავის ეხატება გულ-ზე?! საჩუქრების ფულს მაინც აუცილებლად ყველა დებს ში-შით, ან რაღაცის იმედით, ან არგამორჩენის პრინციპით. ზე-დაპირზე მხოლოდ რამდენიმე მშობელი ჩანს, რომლებსაც პრინციპულად გადაუწყვეტიათ, მოითხოვონ სიტუაციის გა-მოსწორება. სწორედ ასეთ მშობლებს დაერქვათ „ინტრიგანი მშობლები“ სკოლებში და ამ უარყოფითი დამოკიდებულების გამო, მათაც თითქმის არაფერი გამოსდით.

დიდი პრობლემაა, ასევე, სკოლის მენეჯერებისა თუ დი-რექტორების მიდგომებშიც. როდესაც სკოლას კარგი მენე-ჯერი ჰყავს, ის ყოველთვის არეგულირებს სიტუაციას, უს-მენს მშობელს, მოსწავლეებს, მაგრამ ასეთები, სამწუხაროდ, თითზე ჩამოსათვლელი არიან. ამ კომპლექსურ პრობლე-მებს ერთი მიმართულებით მივყავართ – სკოლა, სადაც მშობლის ჩართულობა დაბალია, ვერასოდეს გახდება დე-მოკრატიული და ბავშვის ინტერესებზე მორგებული. მშობ-ლის ჩართულობაში მშობელთა კრებაზე დასწრებას არ ვგუ-ლისხმობ, როგორც ეს ძირითადად აღიქმება ხოლმე. მშობ-ლებთან ურთიერთობა მთელი სტრატეგიაა, რომელსაც გათ-ვლა და კონკრეტული გეგმა სჭირდება.

ბოლოდროინდელი გამოცდილება ცხადყოფს, რამდენად მნიშვნელოვანია, თავად მოსწავლეებისთვისაც, მშობლების აქტიური მონაწილეობა საგანმანათლებლო პროცესში. მსგავსი პრაქტიკის შემთხვევაში, მოსწავლეები ავლენენ საუ-კეთესო შედეგებს, იზრდება მათი მოსწრების დონე და გამო-იჩევიან პოზიტიური ქცევით. ამდენად, სკოლა თავად უნდა იყოს დაინტერესებული მშობლებთან აქტიური თანამშრო-მლობით, რაც მნიშვნელოვან ნილად მისი წარმატების განმ-საზღვრელი იქნება. მაგალითად, ჯოის ეფუტეინი (სასკოლო ცენტრის „ოჯახისა და საზოგადოების პარტნიორობის“ დი-რექტორი) ეფუძნება ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტისა და „პარტნიორი სკოლების ეროვნული ქსელის“ კვლევებს, რომ-ლის მიხედვითაც, განათლების ხარისხის გაუმჯობესება გან-პირობებულია სკოლის, მშობლების და საზოგადოების ერ-თობლივი მუშაობით. ეფუტეინის თქმით, „ძველი აზროვნე-ბით, მშობელთა ჩართულობა მოიცავდა მხოლოდ მშობელთა საკითხებს, ხოლო – თანამედროვე მიდგომებით, იგი პირდა-პირ კავშირშია მოსწავლის წარმატებასთან. სკოლის დირექ-ტორი მშობლის ჩართულობას ისე უნდა მიუდგეს, როგორც სასწავლო გეგმას, პროფესიულ განვითარებას და სხვა კრი-ტიკულ სფეროებს სკოლის ცხოვრებაში“.

როდესაც მშობელს არ აკმაყოფილებს რაიმე ასპექტი სკო-ლის, რომელშიც მისი შვილი სწავლობს, ის არ მიმართავს პო-ლიტიკურ ქმედებას, არ უკავშირდება სკოლის საბჭოს და არ აქტიურობს მშობელთა საბჭოში. ნაცულებად ამისა, გამოსა-ვალს იმაში ეძებს, რომ ემიჯნება სკოლას, რეალურად აღარ ერთვება საკუთარი შვილის განათლების პროცესში და, რიგ შემთხვევაში, ცდილობს, გაამართლოს შვილი, როდესაც იგი სკოლაში მეცადინეობებს არ ესწრება ან გადააწყავს სხვა სკო-

ქართული როგორც მეორე ენა

ყველაზე რთული გაკვეთილი ახალ გარემოში

სკოლაში გატარებულ წლებს ყველა ჩვენ-განის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. არაერთი მოგონება და თავგადასავალი გვაკავშირებს მასთან. მეგობრების უმეტესობაც სწორედ სკოლიდან მოგვეყვება. ამ პერიოდში ვიზრდებით და ვყალიბდებით. თუმცა სკოლაში მასწავლებლად დაბრუნება უფრო დიდი გაკვეთილი აღმოჩნდა ჩემთვის. მართალია, პედაგოგობა ყოველთვის მომწონდა, მაგრამ წლებმა ჩემი არჩევნის სისწორეში დამარწმუნეს. ყველაზე კარგად თავს სკოლაში, ბავშვების გვერდით ვგრძნობ. მგონია, მათთან ერთად ვიზრდები და ვიხვეწები.

ჩემი პედაგოგიური საქმიანობა 2005 წლიდან დაიწყო, მაგრამ 2009 წლიდან სრულიად ახალი, განსხვავებული, საინტერესო და მოულოდნელობებით სავსე ცხოვრება დაიწყო. პროგრამის „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ ფარგლებში, გამანაწილეს წალკის რაიონის სოფელ აშკალის საჯარო სკოლაში ქართული ენის მასწავლებლად. (პროგრამას სახელი რამდენჯერმე შეეცვალა, ამჟამად „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა“ ეწოდება). მიხაროდა ახალ გარემოში მოხვედრა და მოლოდინიც დიდი მქონდა. გადავწყვიტე, ჩემი შვიდი წლის შვილიც თან წამეყვანა, რადგან ვიცოდი, ოჯახში ხშირად ვერ ჩამოვიდოდი და შვილის გარეშე დიდხანს ყოფნა გამიჭირდებოდა. მოკლედ, ემოციებით და გეგმებით სავსე გავემზავე წალკისკენ.

მეზავრობა საკმაოდ გრძელი და დამლული აღმოჩნდა. გზა თანდათან მალა მიიწევა და, ხეები იკლებდა, ხოლო კლდოვანი გორაკები და მთები, მასთან ერთად სუსხიც – იმატებდა...

იმ დღეს საშინელი წვიმა და სიცივე დამხვდა სოფელ აშკალაში. მძაფრ ემოციებს და განცდებს ისიც ემატებოდა, რომ ჩემი შვი-

ლი ყოველ წუთს ტირილისთვის ემზადებოდა და ხელს არ მიშვებდა. ჩამოსვლისთანავე პირველი პრობლემა დამხვდა: სად უნდა მეცხოვრა? თითქოს არაფერი სურდა უცხო დედა-შვილის ოჯახში შესახლება. დიდი ხნის ძებნის შემდეგ მარტოხელა ქალთან მიმიყვანეს. ჩვენდა საბედნიეროდ, დიასახლისი ძალიან თბილი და სტუმართმოყვარე აღმოჩნდა.

სკოლაში თბილად მიმიღეს თანამშრომლებმაც და ბავშვებმაც. გასაკეთებელი და სამუშაო მართლაც ბევრი მქონდა. აქტიურად ჩავეხიხინე სასწავლო პროცესში. პირველ რიგში, დავინტერესდი რა იყო მოსწავლეებისთვის მთავარი პრობლემა. ზოგმა სპორტული დარბაზის და ზოგმა გასართობი კლუბების არქონა დაასახელა. ერთ-ერთმა მოსწავლემ კი დამინერა: „არის კიდევ ერთი პრობლემა, ქართულ ენის სწავლა. ჩვენ ვცხოვრობდით საქართველოში და არ ვიცით ლაპარაკი ქართულ ენის“.

ბავშვები მართლაც მონდომებით შეუდგნენ ენის შესწავლას. მსურველები გაკვეთილების შემდეგაც რჩებოდნენ და დამატებით ვმეცადინებოდი ენის კლუბში. მეექვსეკლასელებმა კი ხალისით დაიწყეს სპექტაკლის „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ დასადგმელად მზადება. სარეპეტიციო პერიოდი ყველასათვის სახალისო აღმოჩნდა. ქართული ენის გაკვეთილებზე პერსონაჟების სახელებით მიმართავდნენ ერთმანეთს.

სპექტაკლის ჩვენება სოფლის კლუბში მოვანწყვეთ. ძალიან ველავადი. სცენის გაფორმებასა და გალაშქრებაში მშობლებიც დამხმარნენ. მზადების პროცესში გვერდით არ მომშორებინა მეტერთმეტე კლასის მოსწავლეები, თავს დაგვტრიალებდნენ მეც და პატარა „მსახიობებსაც“.

უამრავი მყურებელი შეიკრიბა, რამაც ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. გაფაციცებით უსმენდნენ ქართულად ამეტყველებულ და



ამლერებულ ბავშვებს. ჩვენმა ნამუშევარმა დიდი მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებით მშობლები და მასწავლებლები დარწმუნდნენ კმაყოფილებაში. ეს იყო დაუვიწყარი დღე ჩემს ცხოვრებაში.

ამას უკვე მოჰყვა სპექტაკლები: „სამი გოჭი“, „სოფლის მამულები“, „გოგონა და სა-მი დათვი“, „მგელი და შვიდი ციკანი“, „მითი არგონავტებზე“, „ჩიპოლინო“... ექსკურსიები თბილისში, მცხეთაში, ვარძიაში, ახალციხეში, ქუთაისსა და ბათუმში, უამრავი ლაშქრობა სოფლის შემოგარენში.

მართალია, ჩემი შვილი ისევ თავის ძველ სკოლასა და მეგობრებს დაუბრუნდა, მაგრამ მისი მონატრება და სიყვარული ამ ბავშვებზე, ჩემს მოსწავლეებზე გადამქონდა. მიჭირდა ჩემი ოჯახის გარეშე ამ მძიმე კლიმატსა და სიცივესთან შეგუება. დიდთოვლობის ან ქარბუქის გამო ხშირად გზებიც იკეტებოდა და თვეობით ვერ მივდიოდი სახლში, მაგრამ ჩემი საქმის სიყვარულმა, ადგილობრივების კეთილგანწყობამ და ამ საქმეში ჩადებული შრომის შედეგებმა ყველა სირთულე დამაძლევინა.

მოსწავლეთა ჩართულობამ თანდათან იმატა ქართული ენის ოლიმპიადებსა და სხვადასხვა კლასგარეშე ღონისძიებაში. ჩემი სკოლის მოსწავლეები ემოციებით და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ბრუნდებოდნენ ანაკლის, ნალვერის და ბაკურიანის ბანაკებში, სადაც აზურბაიჯანელ და ქართველ ბავშვებთან ერთად ცხოვრობდნენ. მათი მე-

გობრობა ბანაკებში არ დამთავრებულა, არამედ გაგრძელდა და გაღრმავდა სოციალურ ქსელებსა თუ პირად მიმონერებში. რაც ყველაზე მთავარია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და კოლეჯებს ჩემი მოსწავლეებიც შეემატნენ. 2015 წლიდან, პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა ქართულ ენაში მომზადების კურსი გაძლიერდა. ამან სახელმწიფო ენის მიმართ ინტერესი უფრო გაზარდა და თითქმის მთელი კოლექტივი ჩართო.

წლებმა გაიზარინეს. შვიდი წელი ისე სწრაფად გავიდა, ვერც გავიგე. უკვე დიდ სიყვარულს, ნდობასა და პატივისცემას ვგრძნობ მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თემის მხრიდან. ქუჩაში ლიმილით მხვდებიან და მესალმებიან, მესმის ქართული „გამარჯობა“, „თეაჯან, როგორ ხარ?“, „სად მიდიხარ?“, „დახმარება ხომ არ გინდა?“. დღეს ტკბილად მახსენდება უკან დარჩენილი პრობლემები და დაძლეული სირთულეები. ბედნიერი ვარ ჩემი პროფესიით, ჩემი საქმით და მოსწავლეებით.

თია გიბიტაშვილი
პროგრამის „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება“ მონაწილე კონსულტანტ-მასწავლებელი, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ აშკალის საჯარო სკოლის ქართული ენის პედაგოგი



მედიანიგნიარება

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

ბაკავითილის თემა - მონაცემთა შეგროვება და ანალიზი კლასი - IV საბანი - მათემატიკა

სასწავლო მიზანი:

თემის შესწავლის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ მოცემულ თემასთან ან გამოსაკვლევ ობიექტთან დაკავშირებით თვისობრივი მონაცემების შეგროვებას, საჭირო მონაცემების ამოკრებას მონაცემების შესაფერისი კატეგორიებიდან (მათ. IV. 12. 13. 14.).

მედიანიგნიარების მიზნები:

ინტერნეტის სახელმძღვანელო არსებული თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და გაფილტვრა, ინტერნეტის მიზნობრივად გამოყენება, სწორი არჩევანის გაკეთება და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება.

მოსწავლის, დაკვირვების, კვლევის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ანალიზის, შეჯამებისა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევითა განვითარება. სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება.

აქტივობები

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მედიანიგნიარება ერთ-ერთი გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციაა და გულისხმობს მრავალფეროვნების გზით იმის შევსებას, რაც სახელმძღვანელოშია მოცემული.

წარმოდგენილი მეთოდური მასალის მიზანია, კონკრეტული საგანკვლევო გეგმის მაგალითზე, მასწავლებლებს შესთავაზოს მოსწავლეებისთვის მედიანიგნიარების კომპეტენციის განმავითარებელი ხერხები, კერძოდ:

- სად მოიპოვოს ინფორმაცია, რომელ მისამართებზე მოძებნოს;
- როგორ შეძლოს მისი „გაფილტვრა“ (გააკეთოს სწორი არჩევანი, შეაფასოს მისი სანდოობა და ვალიდურობა);
- როგორ შექმნას და გააფრცხლოს ახალი ინფორმაცია;
- ინფორმაციის აღქმა, გააზრება და კრიტიკული შეფასება.

საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:

ინტერნეტში ჩართული ბუკები, სახელმძღვანელო, პრეზენტაცია.

წინარე ცოდნა და საბაზისო უნარ-ჩვევები:

- მოსწავლეს შეუძლია: მაიკროსოფტის power point პროგრამის მოხმარება;
- ინტერნეტის გამოყენება;
- მრავალნიშნა რიცხვებზე მოქმედებების შესრულება;
- საზომი ერთეულების (მანძილის, დროის, მასის) და მათ შორის მიმართებების ცოდნა და გამოყენება - საზომი ერთეულების გადაყვანა უფრო მცირე საზომ ერთეულებში, მაგ.: კილომეტრების - მეტრებში, ტონის - კილოგრამებში, საათების - წუთებში და ა.შ;
- ასევე შეუძლიათ მრავალნიშნა რიცხვების უახლოესი ასულის/ათულის სივრცის პოვნა.

შენიშვნები:

პლანეტების შესახებ ინფორმაცია საინტერესოა მოსწავლეებისთვის. მათემატიკის სწავლებისას ამ თემით შეიძლება ვასწავლოთ მონაცემების შეგროვება. ეროვნული სასწავლო გეგმით მონაცემების მოგროვების სწავლება გათვალისწინებულია მეოთხე კლასში:

მათ. IV.12. მოსწავლეს შეუძლია, მოცემულ თემასთან ან გამოსაკვლევ ობიექტთან დაკავშირებით, თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება.

მათ. IV.13. მოსწავლეს შეუძლია რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების მოწესრიგება.

მათ. IV.14. მოსწავლეს შეუძლია თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემთა ინტერპრეტაცია და ელემენტარული ანალიზი.

მათემატიკის სახელმძღვანელოში მოცემულია ამოცანები პლანეტების შესახებ (გვ. 151, IV კლასის მათემატიკის სახელმძღვანელო, ირინა რუხაძე). საკითხის შესწავლას შეიძლება დაეთმოს ორი გაკვეთილი.

პირველი ბაკავითილი


მიზანი:

მოსწავლეებმა შეძლონ ინტერნეტის სახელმძღვანელო არსებულ თემასთან - დედამიწასა და მთვარესთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება მათემატიკის ამოცანის კითხვის მიხედვით, შეძლონ ინფორმაციის „გაფილტვრა“, ინტერნეტის მიზნობრივად გამოყენება, სწორი არჩევანის გაკეთება და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება, ასევე, სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება.

აქტივობა 1. მოსწავლეები დაფაზე ავსებენ გონებრივი იეროშის რუკას, სადაც მთავარი სიტყვა არის „დედამიწა“.

მასწავლებელი დაადგენს, რა დონის წინარე ცოდნა აქვთ მოსწავლეებს.

დანართი 1.




აქტივობა 2. ისინი ავსებენ ამობეჭდილი სქემის - „ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“ - მეორე გრაფას („მინდა ვიცოდე“). მასწავლებელი გააკრევეს რისი გაგება სურთ.

დანართი 2.

Table with 2 columns: 'მინდა ვიცოდე' and 'მინდა ვიცოდე'.

აქტივობა 3. მასწავლებელი აცნობს ამოცანას სახელმძღვანელოდან.

დანართი 3.



აქტივობა 4. კითხვებზე პასუხის გაცემა:

დანართი 4.

Table with 2 columns: 'კითხვები' and 'საპარპოვო პასუხები'. It contains questions about the Earth's surface area and the Moon's surface area.


აქტივობა 5. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, რომ ახლა გაცნობს, ასწავლის თუ როგორ და სად მოძებნონ ინფორმაცია, როგორ გადაამოწმონ მისი სანდოობა.

ლექციისთვის წინასწარ მომზადებულია პრეზენტაცია ინფორმაციის სანდოობის შესახებ. პრეზენტაცია იწყება „კომედი არხის“ გადაცემით, სადაც სიცოლითა და იუმორით საუბრობენ დედამიწისა და მთვარის შესახებ. აჩერებს, უსვამს კითხვებს. მასწავლებელი ამ ტელეგადაცემის მაგალითზე აჩვენებს ბავშვებს საეჭვო, არასანდო ინფორმაციას. მოსწავლეები აკეთებენ დასკვნებს, რომ ეს ინფორმაცია არ არის სწორად მოძებნილი და არ გამოადგებათ სასწავლო მიზნებისთვის. ცდისა და შეცდომის მეთოდმა მოსწავლეები მიიყვანა დასკვნამდე, რომ შესაძლებელია თავიდანვე, დროის ინკარგვის გარეშე, ინფორმაციის სწორად მოძებნა. შემდეგ მასწავლებელი ესაუბრება და ასწავლის ინფორმაციის მოძებნისა და სანდოობის დადგენის ხერხებს, პარალელურად, აჩვენებს სლაიდებზე მომზადებულ ვიზუალურ მასალას. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები. მასწავლებელი უტყუარად აცნობს სიახლეებს და ყოველი ეტაპის დამთავრების შემდეგ უსვამს კითხვებს, მოსწავლეები პასუხობენ, გასამყარებლად მოჰყავთ არგუმენტები.

აქტივობა 6. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოიყენონ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა და თვითონ შეარჩიონ ვიდეო დედამიწისა და მთვარის შესახებ, რომელიც გვანვდის სანდო ინფორმაციას.

აქტივობა 7. მოსწავლეები იყენებენ კლასში მიღებულ ახალ ცოდნას, ერთობლივად მსჯელობენ და არჩევენ შესაფერის ვიდეორგოლს. ინფორმაციის სანდოობის დასადგენად ვიდეორგოლში მოცემული ინფორმაცია გადაამოწმეს, შეადარეს სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას. მათ იციან, რომ სკოლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა ავტორთა ჯგუფის მიერ არის შედგენილი და სწორია. მოსწავლეებმა სახელმძღვანელოში მოცემული, დედამიწასა და მზეს შორის დაშორება - 149 503 000 კმ დაამრგვალეს და მიიღეს 150 000 000 კმ - ზუსტად ის რიცხვი, რომელიც იყო ინტერნეტში მოძიებულ ვიდეოში. ანალოგიურად, სახელმძღვანელოში მოცემული დედამიწის გარშემოწერილობა 38 022 კმ დაამრგვალეს და მიიღეს 40 000 კმ. ნახეს, რომ ორივე შემთხვევაში, ორივე წყარო, დაახლოებით, ერთსა და იმავე ინფორმაციას გვანვდის და კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ მოძიებული ვიდეოს სანდოობაში. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ დედამიწასა და მზეს შორის მანძილიცა და დედამიწის გარშემოწერილობაც გაზომილია პირობითად, წარმოდგენით, არარეალურად და ამიტომ სხვადასხვა წყარო, შეიძლება, განსხვავებულ ინფორმაციას გვანვდოდეს, მაგრამ ეს რიცხვები, დაახლოებით, ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს.

გთავაზობთ მოსწავლეთა ნამუშევარს:



მეორე ბაკავითილი

მიზანი: თემის შესწავლის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ, მოცემულ თემასთან ან გამოსაკვლევ ობიექტთან დაკავშირებით, თვისობრივი მონაცემების შეგროვებას, მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას. მოსმენით, დაკვირვებით, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნებით გაივარჯიშებენ დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევებს.

აქტივობა 8. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: ყურადღებით უყურეთ ვიდეოს https://www.youtube.com/watch?v=9Qj6UVW8mpU

მოსწავლეები უყურებენ ვიდეოს, სადაც ნაჩვენებია დედამიწა და მთვარე. თვალნათლივ ჩანს მათ შორის განსხვავება, მანძილი, ხედი. ვიდეოში მოცემულია ინფორმაცია დედამიწისა და მთვარის შორის მანძილის, მათი გარშემოწერილობის (დედამიწის - 40 075 კმ, მთვარის - 10 916 კმ), მასების, ტემპერატურის შესახებ.

შეაგროვეთ ინფორმაცია და ჩანიშნეთ მნიშვნელოვანი საკითხები, რითაც პასუხს გაცემთ თქვენ მიერ დასმულ კითხვებს „მინდა ვიცოდე“ გრაფიდან. იმავე ვიდეოს https://www.youtube.com/watch?v=9Qj6UVW8mpU

ვუგზავნი ბუკებში, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ დაკვირვების, გადახვევის, დაპაუზების, რამდენჯერმე მოსმენისა და ნახვის საშუალება.

აქტივობა 9. ვიდეოში მოცემული უცხო სიტყვებისა და რთული საკითხების განხილვა დაფაზე.

მოსწავლეთა მიერ ჩანიშნული უცხო სიტყვების ახსნა: ვირტუალური რეალობა - კომპიუტერული გამოსახულებებითა და ხმებით შექმნილი სამყარო;

პერიოდი - დრო, რასაც ანდომებს დედამიწა საკუთარი ღერძის გარშემო შემობრუნებას;

პირობითი გაზომვა - წარმოდგენით, არარეალურად გაზომვა.

აქტივობა 10.


დავპლავა: შეადგინეთ ცხრილი, მონაცემები შეიტანეთ ცხრილში, ერთ სვეტში ჩამოწერეთ ინფორმაცია დედამიწის შესახებ, მეორეში კი - მთვარის შესახებ; ყველა მონაცემი გადაიყვანეთ ერთ საზომ ერთეულში, გამოთვლები დაწვრილებით ჩაწერეთ რვეულში.

ჯგუფური მუშაობა - მოსწავლეები ავსებენ ცხრილს. მონაცემების შედარებით ანალიზის მიზნით გადაიყვანენ ერთნაირ საზომ ერთეულში, რისთვისაც აკეთებენ გამოთვლებს. გამოთვლებს ასრულებენ რვეულში, ასრულებენ, ასევე, მოქმედებებს მრავალნიშნა რიცხვებზე. გადაწყვეტენ დიდი საზომი ერთეულები უფრო მცირე (ამ შემთხვევაში - წუთებში) საზომ ერთეულებში, შეადარებენ და ანალიზისთვის. მაგალითად: დედამიწის ბრუნვის პერიოდი ვიდეოში მოცემულია 23სთ 56წთ, მთვარისა კი - 27 დღე, 7სთ 44წთ. 23 საათი გამოსახეს წუთებში - 23 x 60 წთ = 1 380წთ, მიუმატეს 56წთ და მიიღეს 1 436წთ. ანალოგიურად გამოთვალეს მთვარის ბრუნვის პერიოდი წუთებში: 27 დღე-ღამე გამოსახეს საათებში, რისთვისაც 27 x 24სთ. = 648სთ, მიუმატეს 7სთ და მიიღეს 655სთ. მიღებული 655სთ გამოსახეს წუთებში, რისთვისაც 655 x 60წთ = 39 300წთ. ბოლოს მიუმატეს 44წთ და მთვარის ბრუნვის პერიოდი, წუთებში, მიიღეს 39 344წთ. ასევე დასჭირდათ დამრგვალება. დედამიწის ეკვატორის სიგრძე მოცემულია ვიდეოში - 40 075 კმ, მთვარისა კი - 10 916 კმ. გამოიყენეს რიცხვითი ღერძი და იპოვეს რიცხვის უახლოესი ათასეული - 40 075 უფრო ახლოსაა 40 000-თან, ხოლო 10 916 - 11 000-თან. ჯგუფებმა წარმოადგინეს საკუთარი ნამუშევრები, შეადარეს პასუხები, გაასწორეს დაშვებული შეცდომები.

შენიშვნა

მათემატიკის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით, IV კლასში, არ მოეთხოვებათ რიცხვის ხარისხის ცოდნა. მასების შესადარებლად - 597x1022კგ და 7.35x1022კგ - მათ მხოლოდ პირველი თანამართავლები შეადარეს, რადგან მეორე თანამართავლები ტოლია - 1022. ასევე არ მოეთხოვებათ ათწილადის ცოდნა, მაგრამ რიცხვითი ღერძის საშუალებით, მასწავლელის დახმარებით, დაამრგვალეს.

გთავაზობთ მოსწავლეთა ნამუშევრებს:



აქტივობა 11. შემდეგ შეიტანეს მონაცემები ცხრილში. ცხრილი თავად შექმნეს ბუკებში.

სანიშნულად წარმოგიდგენთ ერთი ჯგუფის ნამუშევარს:



A table with 3 columns: 'მონაცემები', 'დედამიწა', 'მთვარე'. It lists various physical properties and compares them between Earth and the Moon.

მადიანობიერება

აქტივობა 12. საშინაო დავალებები.

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: წარმოიდგინეთ, თქვენი თანატოლები, რომელთაც უამრავი შეკითხვა აქვთ, როგორც თქვენ გქონდათ გაკვეთილის დასაწყისში. მოიფიქრეთ და შექმენით ახალი მედიანობიერება თქვენი თანატოლებისთვის. მოამზადეთ power point-ში და მიუთითეთ წყარო. მოსწავლეებმა შეადგინეს ამოცანები, ამოხსნეს, გასცეს პასუხები თავიანთ დასმულ შეკითხვებს. პროგრამა power point-ში შექმნეს ახალი პრეზენტაცია თანატოლებისთვის.

გთავაზობთ მოსწავლეთა ნამუშევრებს



მოსწავლეებმა ასევე მოამზადეს პრეზენტაცია, რომელიც განთავსებულია შემდეგ მისამართზე: https://drive.google.com/file/d/0B6viMMzNm4wNDBtbnRyRiBkbmc/view?usp=sharing

შეფასება

დაკვირვების საფუძველზე მასწავლებელი აფასებს, როგორ შეუძლიათ მოსწავლეებს მრავალნიშნა რიცხვებზე მოქმედების შესრულება, საზომ ერთეულებს შორის მიმართებების აღმოჩენა და გამოყენება, ინფორმაციის დამუშავება, როგორ მუშაობენ ინდივიდუალურად და ჯგუფურად, როგორ იყენებენ ბუჯს, როგორ იცავენ დროის ლიმიტს. მულტიმედია პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა:

Table with 3 columns: criteria, and two checkmarks. Rows include: კრიტერიუმები, პრეზენტაციას აქვს შესავალი (ჩანს საკვლევი საკითხი), მითითებული აქვს გამოყენებული წყაროები, მრავალნიშნა რიცხვებზე მოქმედებები სწორად აქვს შესრულებული, სწორად იცნობს უახლოეს მრგვალ ათასეულებს, ათეულათასეულებს და ა.შ., სწორად აქვს აგებული დიაგრამა, დასკვნები დამაჯერებელია, სრულყოფილად სცემს პასუხს ყველა შეკითხვას, იცავს დროის ლიმიტს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
2. მასწავლებლის წიგნი „გამჭოლი კომპეტენციები, ეკოლოგიური, სემიოტიკური და მედიანობიერება“ (მანანა რატიანი, მანანა სეხნიაშვილი, მაია ბლიაძე, ცირა ბარბაქაძე, ნატალია ინგოროყვა, თამარ მოსიაშვილი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015).
3. IV კლასის მათემატიკის სახელმძღვანელო, ირინა რუხაძე.

გამოყენებული მულტიმედია რესურსები:

https://www.youtube.com/watch?v=9Qj6UVW8mpU
https://www.youtube.com/watch?v=4dDBXRno9kQ

ირინა ნადირაშვილი
თბილისის №83 საჯარო სკოლის
დანეშობითი კლასების პედაგოგი

დედა ენა - 140

ბურჯი ეროვნებისა

„ყველაზე დიდი, ყველაზე ძნელი საგანი მთელს დიდაქტიკაში დედაენის სახელმძღვანელოს შექმნა.“

კონსტანტინე უშინსკი


„ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ ხელში პირველად აიღებს, აიღებს, გადაშლის და თითქოს ისევ დაიბადო, - ამ სამზეროს ხომ დაინახავს და დაინახავს, სხვაგვარადაც გაიზრდეს.“

დემნა შენგელია

აუნონელი და ფასდაუდებელი განძი დევს უკვდავ „დედა ენაში“. მადლიერმა შთამომავლობამ ძეგლი აუგო წიგნს, რომელმაც აუხილა ნორჩებს თვალი, ჩაუნერგა ყრმათა გულს თესლი სიკეთისა, ზნეობისა, კაცობისა, ადამიანობისა, შეაშუქა ყველა ქართველის ოჯახში და დატოვა თავისი ელვარება. „დედა ენა“ დღესაც იმავე სიყვარულით იფურცლება, როგორც მაშინ, 140 წლის წინათ. დრომ ფერი ვერ უცვალა ერის უკვდავ საუნჯეს. პირიქით, მეტ ელვარებას ჰფენს, მარადიული სიცოცხლისა და მიმზიდველობის ძალას ანიჭებს.

გაზაფხულის მახარობელი ყვავილით, ლურჯთვალა იით დანყო მოძღვარმა პატარების აღზრდა, რომ ზრდადამთავრებულმა მხოლოდ ია-ვარდი ეთესათ ცხოვრების გზაზე. მან ბრძნული გონების თვალთ გაზომა და შეაფასა დედაენის ზემოქმედების ძალა ბავშვის სულიერ ფორმირებაში. „დედა ენა სულია სკოლისა“ - გვმოდგვრავდა იაკობი და თავგამოდებით და შეუპოვრად ებრძოდა სახალხო სკოლაში ცარიზმის მოხელეთა მიერ დედაენის შევიწროებისა და განდევნის ყოველ ცდას. „რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული ენაა, ამიტომ ტლანქი ხელი უმეცრის მოხელეებისა ყველაზე უწინარეს ენას მისწვდა,“ - წერდა ილია ჭავჭავაძე. დიდ ილიასთან ერთად, სახელოვან პედაგოგს, ქართული ენისათვის ბრძოლა ქართველი ერის არსებობისათვის ბრძოლად მიაჩნდა.

მშობლიური ხალხისა და ბავშვების უსაზღვრო სიყვარულმა, ფართო განათლებამ, პედაგოგიურმა ალომმა და გულმოდგინებამ, ქართული ენის ბუნების საიდუმლოებისა და ბავშვის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნამ, ზემოაღებულია მხატვრულმა ნიჭმა და ერუდიციამ მისცა საშუალება, პროგრესულ იდეებზე შექმნა ხელისხელსაგომანებული და სათაყვანებელი ანბანის ბრწყინვალე სახელმძღვანელო „დედა ენა“, რომლის შედგენის პრინციპებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდი. თუ რამდენად პროგრესული მოვლენა იყო ქართული წერა-კითხის სწავლებაში მისი გამოყენება, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მანამდე არსებული მეთოდებით წერა-კითხის შესწავლას ორი წელი სჭირდებოდა, დღეს კი ამისათვის რამდენიმე თვეა საჭირო. იაკობ გოგებაშვილის ფასდაუდებელი დამსახურება ისიც არის, რომ „დედა ენის“ გამოცემამდე მსოფლიოს მასშტაბით აღიარებულ და გავრცელებულ პრინციპად ითვლებოდა წერა-კითხის ხერხი. აქედანაა თვით ტერმინიც „წერა-კითხვა“. სახელოვანმა პედაგოგმა, უშინსკის, დისტრეგვისა და სხვა გამოჩენილი პედაგოგებისაგან განსხვავებით, თავის „დედა ენასა“ და „რუსკოე სკოლას“ კითხვა-წერის ხერხი დაუდო საფუძვლად. პედაგოგიკა და ჯანსაღი აზრი გვავალდებულებს, ბავშვებთან წერა-კითხის სწავლება დავიწყოთ ადვილით და გადავიდეთ რთულზე, - აღნიშნავდა იაკობი. საკითხავია, რა უფრო ძნელია - წერა თუ კითხვა? უეჭველად პირველი, რადგან



ასოს დანახვა და ათვისება იმდენად ადვილია ასოს დანერასთან, როგორც შედარებლად ადვილია ნახატის გამოცნობა, ვიდრე მისი დახატვა. ამიტომაც, წერა როგორც ბავშვებისათვის ძალზე რთული პროცესი, კითხვის შემდეგ გადაიტანა.

განუმეორებელია „დედა ენა“ ილუსტრაციებითა და წერის ნიმუშებით. მასში მეცნიერული სიზუსტით და პედაგოგიური ხელოვნებითაა განხორციელებული თვალსაჩინოების პრინციპი, განსაზღვრულია ქართული წერის თავისებურებანი, მაღალდიდაქტიკურ პრინციპებზე დაფუძნებით წარმოდგენილია ქართულ, მრგვალ და პირდაპირ ასოებზე ზედგამოჭრილი ბადე, რომელიც დღესაც ეფექტურად გამოიყენება წერის სწავლებაში.


„დედა ენა“ არა მარტო წერა-კითხვის სწორეზოვარი სახელმძღვანელოა, არამედ ჩვენი ხალხური შემოქმედებისა და კლასიკური საბავშვო მწერლობის მარგალიტების საუნჯე. მან იცოდა, რომ ხალხური სიტყვიერება აცნობს ბავშვს მშობელი ერის წარსულს, ანმყოს და მომავალს, წერისათვის მის გონებას, უწერავს ხალხურ სიბრძნეს და მაღალ ზნეობას. ამიტომ ხალხურ პოეზიას განსაკუთრებული ადგილი უნდა ექნოს სწავლებაში, - წერდა იაკობ გოგებაშვილი.

საბავშვო მწერლობის ფუძემდებელს კარგად ესმოდა, რომ მარტო ხალხური პოეზია არ იყო საკმარისი დედაენის დაუფლებისათვის, ამიტომ მან პირველად შეიტანა სახელმძღვანელოებში კლასიკური პროზისა და პოეზიის ნიმუშები. „ეს ჯადო წიგნი, წიგნი კი არა, ენციკლოპედია შედგენილია ნაირ-ნაირი მასალით, - წერს მწერალი აკადემიკოსი დემნა შენგელია, - ყოველი ფურცელი გამობარია შემოქმედის ცოცხალი სუნთქვით და ისე მჭიდრულად შეკრული, მონოლოთურ მთლიანობას წარმოადგენს. დიდი საბა, აკაკი, უშინსკი, ტოლსტოი და განუმეორებელი ქართული ზეპირ-სიტყვიერება, ისე ლოკიკურად განაგრძობენ ერთიმეორეს, ისე შეხმატბილებულად აჟღერებულან, რომ საკვირველი სიმფონია იქმნება.“

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იაკობ გოგებაშვილი ანგარიშს უწევდა ქართველ მასშაბიან მოსწავლეთა თავისებურებებს. მუსლიმანი მოსწავლეებისათვის შედგენილ „დედა ენაში“ საკითხავი მასალიდან ამოღებული იყო სასულიერო ქრისტიანული მასალა. იგი წერდა: ბარც ცხრა გამოცემა დაიბეჭდა და გაიყიდა პატარა „დედა ენისა“. არცერთში აღარ ყოფილა არც ჯვარი, არც ეკლესია, არც სხვა კუთვნილება ჩვენი სარწმუნოებისა... „ჩვენ ამაზე მეტიც ჩავიდინეთ ამავე მიზნით, - განაგრძობს იაკობი, - თვით ჩვენი ზოგის პოეტის ლექსში ქრისტიანული ტერმინები შევცვალეთ საერთო ათეისტურ ტერმინებზე, მაგალითად, რაფიელ ერისთავი ლექსს „გუთანი“ ასე იწყებს: „გუთანი ქრისტეს ნაკურთხო“, ჩვენ ასე შევცვალეთ: „გუთანი, უფლის ნაკურთხო“, რადგანაც სიტყვა უფალი საერთო სათაყვანებელია ყველა სარწმუნოებისათვის. ამ სახით შეცვლილი „დედა ენა“ ცალკე გამოსცა წერა-კითხვის საზოგადოებამ რიცხვით 6000 და ნაწილი გაიგზავნა ფერეიდანში. სხვა ეგზემპლარები დანიშნულია გამაჰმადიანებული ქართველებისათვის.

არ შეიძლება გვერდი აუარო ისეთ არასასურველ ფაქტს, როგორცაა თანამედროვე სკოლაში „დედა ენის“ არეალის თანდათან შემცირება-შევიწროება. სკოლებში მკვიდრდება ანბანის ახალი სახელმძღვანელოები, რომლებიც ახლოსაც კი ვერ დაუდგება „დედა ენას“. „პატარა წიგნმა გადაარჩინა ერიც და ენაც, - წერდა აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, - ერთადერთი „ვეფხისტყაოსანი“ მეგულება, რომელიც შეიძლება გვერდით ამოუყენო მას თავისი მნიშვნელობით. როგორც რუსთაველის სტრიქონები ანათებს შორეული წყვილიდან, ისე ეს პატარა „დედა ენა“ იბრწყინვალეს მარადის.“

აბაპი ზოიძე
საქართველოს იაკობ გოგებაშვილის
პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური
ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროფესორი



პედაგოგთა დასახარება

ვიწყებთ თემას - „კითხვისა და წერის სწავლება“. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ორაზროვნება და გაუგებრობა, ამ თემის სწავლებას დავიწყებით დავიწყებით და მისი მართლწერით (ვგულისხმობთ იმას, რომ, ხშირ შემთხვევაში, მასწავლებლები არასწორად იყენებენ ტერმინს „ასო-ბგერა“.

დეფისი და მისი მართლწერა

დეფისი ძალიან ხშირად ერევათ ტერმინს. მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა:

I. ორივე სწორი ხაზით აღინიშნება, მაგრამ დეფისი მოკლეა -, ტირე გრძელია -.

II. დეფისი იწერება სიტყვებთან მიტყუებით, ტირე - აქეთ-იქით შუალედებით. ამ შუალედებშია ტირე, დაახლოებით, ხუთჯერ გრძელი გამოდის, ვიდრე დეფისი.

III. ორივე აღნიშნავს გამოტოვებულ (და ნაკლებსხმე) სიტყვას, მაგრამ დეფისი აღნიშნავს კავშირს „და“, „თუ“ ან „ან“ (და-ძმა, გულ-მუცელი), ხოლო ტირე - წინადადების გამოტოვებულ წევრს, სრულმნიშვნელოვან სიტყვას (ამიტომაც იგი არ შეიძლება აღნიშნავდეს ნაწილს „კი“ - როგორც ეს ხშირად ემღებოდა).

ამის გარდა, დეფისი იხმარება კიდევ რამდენიმე შემთხვევაში:

• სიტყვის მორფოლოგიური დაშლისას (ვ-ხედ-ავ-თ), დამარცვლისას და გადატანისას (დე-ფი-სი).

• რიცხვებთან, შემოკლებულ სიდიდეებთან, აბრევიატურებთან და მისთან:

2კგ-იანი = ორკილოგრამიანი; 12-ეული = თორმეტეული; 15-ჯერ = თხუთმეტჯერ; 6-იანი = ექვსიანი; 8-დღიანი = რვადღიანი; 12-ტომეული; 100-ზე; 90-თან; 36 კმ-ში; 11 სთ-ზე; X ს-ში; „სმს“-ში; შსს-ში; თსუ-დან; აშშ-მაშშ-მა...

• სხვათა სიტყვის -მეთქი და -თქო ნაწილაკების წინ: მოდი-მეთქი, ზის-თქო.

• ზოგ უცხოურ ტერმინში ან გვარში: ბარ-კობხა, ტულუზ-ლოტრეკი, ორტეგა-ი-გასეტი და გამოწვევის: ვაჟა-ფშაველა (ამ გვარებში არ იგულისხმება „და“ კავშირი).

დეფისი არაა საჭირო შემდეგი სახის ფუძეგარდასახელებულ სიტყვებში: რახარუხი (რადგან „რახა და რუხი“ უაზრობაა), ბუტბუტი, ლაქლაქა... ასევე: გზადაგზა (რადგან „და“ კავშირი არაა გამოტოვებული!), კარდაკარ, ფეხდაფეხ, თანდათან, მაინცადამაინც... თუმცა: ქურჩა-ქურჩა (რადგან იგულისხმება „ქურჩა და ქურჩა“), სოფელ-სოფელ, ტყე-ტყე...

სადაც კომპოზიტი ბუნებრივად ჩაისმის „და/ან/თუ“, იმ ადგილას იწერება დეფისი, ხოლო თუკი არ ჩაისმის, მაშინ დეფისი არაა საჭირო და კომპოზიტი შერწყმულად იწერება. ამიტომ დეფისიანი სიტყვიდან წარმოებულ სიტყვას დეფისი აღარ სჭირდება, მაგ.: დედ-მამა(მ) -> უდედმამო (რადგან „უდედ და მამო“ უაზრობაა); მთა-გორა -> მთაგორიანი; ცოლ-შვილ(თან) -> ცოლშვილიანად; ცოლ-ქმარი -> ცოლქმრობა; ყოფა-ცხოვრება(შიც) -> საყოფაცხოვრებო; მიზეზ-შედეგი -> მიზეზშედეგობრივი.

თუმცა: უდედ-უმამო (ანუ „უდედო და უმამო“); მთიან-გორიანი (ანუ „მთიანი და გორიანი“); ცოლიან-შვილიანად (ანუ „ცოლიანად და შვილიანად“)...

დეფისი საჭირო არაა ზოგ ისეთ მრავალფუძიან სიტყვაში, რომელთა ფუძეშიც დეფისიანი კომპოზიტი კი არის, მაგრამ მისგან მიღებული მრავალფუძიანი სიტყვა ერთ ცნებას (მაგ., რაიმე თვისებას) აღნიშნავს, ამიტომ „და“ კავშირი ზედმეტია. მაგალითად:

თავპირდასისხლიანებული, ხელფეხშეკრული, წვერულ-შეშატეოვებული... თავ-პირი კია დეფისიანი, მაგრამ თავ-პირდასისხლიანებული - დეფისი დაიკარგა (რადგან თავ და პირდასისხლიანებული - უაზრობა); ასევე, ხელ-ფეხი კია დეფისიანი, მაგრამ ხელფეხშეკრული - დეფისი დაიკარგა. ასევე წვერ-ულვაში იწერება დეფისით, მაგრამ წვერულვაშეშატეოვებული - დეფისი დაიკარგა.

ასევე არ სჭირდება დეფისი: დიდცხვირა (რადგან „დიდი და ცხვირა“ უაზრობაა), ლურჯპერანგისანი, თავქუდმოგლეჯილი, ზრდასრული, სკოლადამთავრებული, პირდაბანილი; არ სჭირდება დეფისი: ჯარისკაცი, შვილიშვილი, ძმიშვილი, შინაყმა, ლუკმაპური, შუაკაცი, არაკაცი, არათეთრი, ვერშემდგარი, ცინესიმაგრე, რახარუხი, ლიკლიკი, რამერუმე, ხუთკუნწულა, ათმეტრიანი, ოცლარიანი, ნახევარქათამა, ორსული, ფეხშიძე...

დეფისი საჭიროა: აქა-იქ, ზამთარ-ზაფხულ, აატარ-ჩამოატარა, ჰეი-ჰეი (ჰეი და ჰეი), მინერ-მონერა (მინერა და მონერა ანუ მიმონერა), გეგმა-კონსპექტი (გეგმა და კონსპექტი, ანუ გეგმა თანმხლები კონსპექტით), ოლა გურამიშვილი-ჭავჭავაძე (ჭავჭავაძისა) (გურამიშვილიცაა და თან ჭავჭავაძეც); კონვერტორ-გამაძლიერებელი (კონვერტორი და თან გამაძლიერებელი), სახლ-მუზეუმი (სახლი და თან მუზეუმი = სახლი, რომელიც თან მუზეუმიცაა), წვერ-კორესპონდენტი (კორესპონდენტი, რომელიც თან წვერიცაა)...

ხშირად დეფისის დაწერა-არდაწერა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გავიარებთ კომპოზიტს - ერთცნებიანად თუ ორცნებიანად. მაგ., ხარისკამეტი, ფურიორეტი. თუკი ვიგულისხმებთ, რომ ორ-ორი ცხოველია, მაშინ დეფისი საჭიროა: ხარი და კამეტი = ხარ-კამეტი, ფური და ირეტი = ფური-ირეტი.

მაგრამ თუკი იგულისხმება თითო ცხოველი, მაშინ დეფისი

არაა საჭირო: მამრი კამეტი = ხარკამეტი; დედრი ირეტი = ფურირეტი.

ასევე სხვადასხვა: ქალბატონი და ქალ-ბატონი; დეკაცი და დეე-კაცი.

დეფისი არ სჭირდება: ერთადერთი, ზოგიერთი, არაერთი, არაკაცი, ორად ორი... მაგრამ: თითო-თითო, ცალ-ცალი, ორორი, ათ-ათი... (იმითომ, რომ ყველა ამ კომპოზიტში იგულისხმება „და“, მაგ.: ორი და ორი = არაერთი წყვილი, ათი და ათი = არაერთი ათეული).

დეფისი საჭიროა აგრეთვე ზოგ ისეთ სიტყვაში, რომელიც მიღებულია დეფისიანი კომპოზიტის შემოკლებით, ბგერების დაკარგვით:

ცალ-ცალკე -> ცალკე-ცალკე; ხილ-ბოსტნეული -> ხილი და ბოსტნეული; პურ-ფუნთუშეული -> პური და ფუნთუშეული.

რას ნიშნავს „ასო-ბგერა“

დეფისის გამოყენების წესის თანახმად, „ასო-ბგერა“ ნიშნავს: ასო და ბგერა. მაგალითად: ლაშა თანდათანობით ეუფლება ინგლისურ ასო-ბგერებს. ეს ნიშნავს, რომ ლაშა თანდათანობით ეუფლება ინგლისურ ბგერებსაც და ინგლისურ ასოებსაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ფართოდაა გავრცელებული ცნების „ასო-ბგერა“ არასწორად მოაზრება და, შესაბამისად, არასწორად გამოყენება. ამის გამო ხშირად მასწავლებლები შეცდომით პასუხობენ სასურთიფიკაციო ტესტში კითხვა-წერის მეთოდის საკითხების უმრავლესობას. საყურველთაოდ დამკვიდრებული გამოთქმა „ასო-ბგერა“ უაზროა, რადგან საგანი არ შეიძლება ერთდროულად იყოს ასოც და ბგერაც. ისევე როგორც არ არსებობს, მაგალითად: სახლნომერი, ნომერ-სახლი, ოჯახგვარი ან რიცხვ-ციფრა.

კითხვა-წერის მეთოდის საკითხებში მთავარი სწორედ ისაა, რომ ბგერა განირჩეს ასოსგან.

სულ სხვა ცნებაა „ასო“ და სულ სხვაა „ბგერა“.

მართლაც:

Table with 3 columns: ასო, ვიღვამთ, ბავსავით. Rows: ასო (მხადვლოვით, ხელით, დანართი), ბგერა (სმინით, ენით, წარმოთქმით).

ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ თანხმოვანი -

ხმოვანი იმდერება, მისი დაყვირება შეიძლება; თანხმოვნისა - არა.

სიტყვაში რამდენი ხმოვანიცაა, იმდენივე მარცვალა. ბგერებისაგან შედგება მარცვალი, მარცვლებისაგან - სიტყვა.

ყველა ქართული ასო ერთად - ესაა ქართული ანბანი: ანი, ბანი, განი, დონი...

ანბანი სწორედ ასოთა ერთობლიობაა - და არა ბგერებისა. მეორე მხრივ, ხმოვანი და თანხმოვანი - ბგერებია (და არა ასოები), რადგან წარმოთქმაზე დამოკიდებულია.

მასწავლებელმა არ უნდა იხმაროს მეცნიერულად მცდარი და უაზრო ტერმინი „ასობგერა“ (თუკი მიჩვეულია, უნდა გადაეჩვიოს). მეტყველებისას უნდა იხმაროს მართებული: როცა საჭიროა - „ბგერა“, როცა საჭიროა - „ასო“. ესე იგი, როცა საუბარია ზეპირმეტყველებაზე - „ბგერა“, როცა დანერვილ-დაბეჭდილ ტექსტზე - „ასო“. თუმცა, III კლასამდე მოსწავლეებს ნუ მოსთხოვს ამ ცნებების განჩევას (ძნელია, სტუდენტებსაც ემღებოდა!), ამიტომ ნურც შეცდომებს შევუსწორებთ. პირველკლასელი ალბათ ყველა შემთხვევაში იტყვის „ასო“ (რადგან ასო უფრო თვალსაჩინოა). თქვას ასე, III კლასში ვასწავლით.

ე.ი. მასწავლებელმა იმეტყველოს მხოლოდ მართებულად, მოსწავლეებს კი ვაცალეთ. მასწავლებლის მიერ ტერმინის „ბგერა“ მართებულად ხმარება (რაც ძალიან ხშირად გახდება საჭირო, მაგალითად, თამაშებისას) თავისთავად იქნება კარგი შემზადება III კლასში ამ საკითხის სასწავლებლად.

„ასო“ და „ბგერა“ ცნებათა აღრევას ჰგავს. მეორე გავრცელებული შეცდომა: დიდი რაოდენობის (ანუ დიდი რიცხვის) აღსანიშნავად რომ ამბობენ: „დიდი ციფრი“. ეს უაზრობაა, რადგანაც „დიდი ციფრი“ - ესაა დიდად დაწერილი ციფრი (მაგ., პლაკატზე). 3-იანი რომ დიდად დავწეროთ, სწორედ ეს იქნება დიდი ციფრი, მაგრამ 3 მცირე რიცხვია. ხშირად გვესმის ჟურნალისტიკებისა თუ პოლიტიკოსებისგან: „მილიონობით ლარი? ეს დიდი ციფრებია...“. შეცდომაა. უნდა ითქვას: „დიდი რიცხვებია“.

დასკვნა: ცნებებს „ბგერა“, „ასო“ (მათემატიკაში - „რიცხვი“, „ციფრი“) აქვს თავ-თავისი ადგილი და დანიშნულება და მათი აღრევა (ან გაიგებება) მხოლოდ შეცდომებსა და გაუგებრობებს მოგვიტანს. ხოლო თუკი მასწავლებელს მათი მნიშვნელობა კარგად ენება გააზრებული, ბევრად უფრო გაუადვილებდა კლასში მუშაობაც და ტესტში სხვადასხვა დავალებათა პასუხის გაცემაც. მაგალითად, თუკი მასწავლებელი მუშაობს ფონოლოგიურ უნართა განვითარებაზე, ამ დროს უადგილოა

სიტყვა „ასო“ (ან „ასო-ბგერა“). მაგრამ თუკი საქმე ეხება წერას ან კითხვას, მაშინ სწორედ ეს ტერმინი უნდა გამოიყენოს - „ასო“. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარი იქნება, კონკრეტულად რომელი უნარის განვითარებაზე მუშაობს იგი. ასევე სასურთიფიკაციო ტესტის ამოცანებში მასწავლებელი კარგად უნდა დააკვირდეს, მოსწავლის რომელი უნარის განვითარებაზეა დავალება - თუკი ფონოლოგიურ უნარებს ეხება, მაშინ უნდა გამოიყენოს ის პასუხები, რომლებშიც ასოა ნახსენები; ხოლო თუკი დავალება კითხვა-წერის უნარებს ეხება, მაშინ პირით - ის პასუხები უნდა გამოიყენოს, რომლებშიც მხოლოდ ბგერებზე მოქმედებებია აღწერილი.

თანდართული ამოცანები

- 1. რომელი სიტყვა წერია მართებულად? ა) დედა-ენა; ბ) კარის კაცი; გ) დედა-სამშობლო; დ) დედა-მდინარე; ე) დედა-ბუნება; ვ) დედაშვილობა; ზ) დის-შვილი; თ) დედა-ქალაქი.
2. რომელი სიტყვა წერია მართებულად? ა) დედა-ქალაქი; ბ) დედაშვილი; გ) დედა-ბოძი; დ) დედა-ბუნება; ე) დედა-მდინარე; ვ) დედა-მინა; ზ) დედა-ენა; თ) დამშობა.
3. რომელი სიტყვა წერია მართებულად? ა) მამამთავარი; ბ) დედა-ჩიტი; გ) დედა-მამიშვილობა; დ) მამა-პაპური; ე) ხელისხელაკიდებით; ვ) მამიდა-შვილი; ზ) ასო-მთავრული; თ) დედა-კაცი.
4. რომელი წერია მართებულად? ა) 1960 - იან წლებში; ბ) 14-ტომეული; გ) ორმოცდაათ-იანწლანი; დ) სამ-ტომეული; ე) პირველ-აპრილობა; ვ) ხუთ-კვირიანი; ზ) მეოცე საუკუნის შუა ხანს.
5. მოსწავლემ გააანალიზა კომპოზიტები: ბუტბუტი, რახარახი, ლაქლაქი. მისი განმარტებით, ეს კომპოზიტები უდეფისოდ იწერება, რადგან ფუძეთა შორის „და“ კავშირს ვერ ჩავენვამთ. დაახუსტეთ მისი ნათქვამი.
ა) სამივე სიტყვა კომპოზიტია, ამიტომ სამივე დეფისით უნდა დაინეროს.
ბ) სამივე სიტყვა ფუძეგარკვევებული კომპოზიტია, ამიტომ სამივე დეფისით უნდა დაინეროს;
გ) სამივე კომპოზიტი მიღებულია მნიშვნელობის არმქონე ფუძეთა გარკვევებით, ამიტომ მათ შორის „და“ კავშირი არ იგულისხმება და, შესაბამისად, არც დეფისია საჭირო;
დ) სამივე კომპოზიტი მიღებულია ფუძეთა გარკვევებით, ამიტომ მათ შორის „და“ კავშირი არ იგულისხმება და, შესაბამისად, არც დეფისია საჭირო;
ე) სამივე კომპოზიტი მიღებულია მნიშვნელობის არმქონე ფუძეების გარკვევებით, ამიტომ მათ შორის დეფისია საჭირო;
ვ) სამივე კომპოზიტი ორცნებიანია, ამიტომ ისინი დეფისით უნდა დაინეროს.
6. რომელი წერია მართებულად? ა) ერთ-თვიური; ბ) ყოველ-თვიური; გ) ორ წლიანი; დ) ნახევარ-დღიანი; ე) სამ-კვირიანი; ვ) რვა საუკუნოვანი; ზ) ყოველწამიერი.
7. რომელი წერია მცდარად? ა) ჭრელ-ჭრელი; ბ) ჩიფჩიფი; გ) კანტიკუნტად; დ) ნელ-ნელა; ე) პურ-ფუნთუშეული; ვ) ნარ-ნარა; ზ) ბრახაბრუხი.
8. შემდეგთაგან მოძებნეთ მართებული ტექსტი: ა) წინასაანბანო პერიოდში მასწავლებელი მოსწავლეებს ხმოვან და თანხმოვან ასოებზე ავარჯიშებს (მხოლოდ პრაქტიკულად); ბ) საანბანო პერიოდში მასწავლებელს სათითაოდ შემოაქვს თითო ასო-ბგერა (სათანადო თვალსაჩინოებით); გ) ანბანის შემდგომ პერიოდში მასწავლებელი მოსწავლეებს თითოეულ ბგერას ამეორებინებს საანბანო პერიოდში ნასწავლის განმტკიცების მიზნით; დ) საანბანო პერიოდში მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ კარგად დაიმახსოვროს თითოეული ასო-ბგერის ურთიერთშესაბამისობა; ე) სოფლის სკოლის კლას-კონტინგენტის ცხრილში გულდასაწყვეტად მცირე ციფრებია.
9. რომელი სიტყვა წერია მცდარად? ა) ჩუხჩუხი; ბ) ლაქლაქი; გ) ნებანება; დ) ჩამიჩმი; ე) ნაპირ-ნაპირ; ვ) ცხელ-ცხელი; ზ) კარდაკარ.
10. რომელი წერია მცდარად? ა) 1000 კილოგრამიანი; ბ) 50-ტონიანი; გ) 1 კგ-იანი; დ) სამკილომეტრიანი; ე) 6 კმ-ზე; ვ) ერთწლიანი; ზ) ხუთსანტიმეტრიანი.
11. რომელი წერია მართებულად? ა) 45-კგ-ში; ბ) 9-იან-თან; გ) 40უელი; დ) 500-სთან; ე) 12 კილომეტრზე; ვ) 10 ლიტრიანი; ზ) 80-მეტრზე.
12. რომელი სიტყვა წერია მცდარად? ა) თვალხარბი; ბ) თვალწარბი; გ) თვალციმციმა;

კვალიფიკაცია და სწავლება

დ) თვალყურს უდევს; ე) თვალცრემლიანი; ვ) თვალჭრელი; ზ) თვალწარმტაცია.

შირი არ იგულისხმება და არც დეფისია საჭირო; ე) სამივე კომპოზიტი ორცენტბიანია, ამიტომ ისინი დეფისით უნდა დაინეროს;

უნდა დაინეროს. 15. რომელი სიტყვა წერია მცდარად? ა) უგზო-უკვლო; ბ) არემარე; გ) ბიჭ-ბუჭები; დ) ბალახბუღახი; ე) ძალ-ლონე; ვ) რამერუმე; ზ) დიდ-დიდი.

ამოცანების პასუხები

Table with 15 columns and 2 rows of numbers: 1-15 and 3, 11, 2, 3, 3, 3, 3, 3, 3, 3, 3, 3, 3, 3, 3

თამარ მახარაძე საგანმანათლებლო-შემოქმედებითი კავშირის „ქორბუდას“ თავმჯდომარის მოადგილე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კავშირის თავმჯდომარე, მასწავლებელთა მწვრთნელი; ქართული ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე დაწყებითი (I-IV) კლასების სერტიფიცირებული მასწავლებელი

ზურაბ მახარაძე განათლების მეცნიერებათა აკადემიკოსი, პედაგოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქოლოგიის პროფესორი; საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე; 40-ზე მეტი სახელმძღვანელოსა და სამეცნიერო მონოგრაფიის ავტორი; „საუკეთესო შედეგების მქონე სერტიფიცირებული მასწავლებლის“ სტატუსის მქონე დარგში: ქართული ენა-ლიტერატურა, მათემატიკა, დაწყებითი განათლება, სამოქალაქო განათლება, რუსული ენა და ინგლისური ენა

ინფორმაცია

პროექტი „მსოფლიოს მასშტაბური გაკვეთილი“

პროექტი „მსოფლიოს მასშტაბური გაკვეთილი“ გულისხმობს მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების გაცნობას. პროექტი ტარდება გაეროს ეგიდით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან თანამშრომლობით. აღნიშნული ღონისძიება საქართველოში მეორედ ხორციელდება. ყოველწელს სხვადასხვა გლობალური პრობლემა აქტუალური. ამჯერად თემა გახლდათ „გენდერული თანასწორობა“. ვინაიდან საქართველოში პროგრამა ინგლისურ ენაზე ხორციელდება, გაკვეთილს ინგლისური ენისა და გეოგრაფიის მასწავლებლები წყვილში ატარებენ.

ნავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისთვის ერთი კვირის ვადაში. პედაგოგებმა აქტიურად და ინტენსიურად ვიმუშავეთ IX კლასის მოსწავლეებთან ერთად. ვინაიდან თემა გახლდათ: „გენდერული თანასწორობა“, ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად, მოსწავლეებს ვაჩვენეთ ვიდეო-გოლი გენდერულ თანასწორობაზე, რომლის მთავარი გმირი გახლავთ პაკისტანელი გოგონა, სახელად მაალა. შემდეგ მივეცით დავალება ჩამოეყალიბებინათ თავიანთი მოსაზრებები - რა სახის პრობლემები არსებობს გენდერულ თანასწორობაში მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც. ასევე მოსწავლეებს უნდა ჩაეტარებინათ აღწერა ახლო სოციალურ ქსელში (ქალთა და მამაკაცთა თანაფარდობა) და ამის მიხედვით შეეცნათ სტატისტიკური რუბრიკა. აღნიშნული რუბრიკა მოსწავლეებს უნდა აეტვირთათ The

WorldsLesson-ის Facebook გვერდზე. მოსწავლეებს ჰქონდათ ძალზე საინტერესო მოსაზრებები თემის ირგვლივ. ისინი დებატების სახით განიხილავდნენ გენდერული თანასწორობის სფეროში არსებულ აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც გამყარებული იყო არგუმენტირებული მსჯელობით. შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვეთ დაესახელებინათ აღნიშნული პრობლემიდან გამოსავლის გზები. ცხადია, მოზარდებმა ამ დავალებებსაც წარმატებით გაართვეს თავი. ასევე შევეცადეთ სკეტჩის სახით გვეჩვენებინა, რომ გოგონები ისეთივე წარმატებით ართმევენ თავს გონებრივ სავარჯიშოებს, როგორც ბიჭები. ეს ყოველივე გადავიღეთ ვიდეოკამერით, დავამონტაჟეთ და 4-ნუთიანი ვიდეორგოლის სახით (დრო მკაცრად იყო ლიმიტირებული) მონაწილეობა მივიღეთ კონკურსში და მოვხვდით გამარჯვებულ ხუთეულთა სი-

აში, საქართველოს მასშტაბით. 5 ოქტომბერს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში გამართულ საზეიმო მიღებაზე დაგვაჯილდოვეს. შეხვედრას ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი ალექსანდრე ჯეჯელავა, მინისტრის მოადგილე, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი და განათლების სფეროში მოღვაწე სხვა პირები. ლიბერთი ბანკის წარმომადგენლის მიერ გადმოგვცა ფულადი ჯილდო. ამავე ღონისძიებაზე სხვადასხვა პროექტებში გამარჯვებულ მასწავლებლებთან ერთად მოგვენიჭა ტიტული „წლის მასწავლებელი“. ამით ყველაფერი არ დასრულებულა, ჩვენი ვიდეორგოლი კვლავ მონაწილეობს კონკურსში, ამჯერად უკვე მსოფლიო მასშტაბით.

ინფო ბაკურაძე

დუალური პროფესიული განათლების განვითარება



11-13 ოქტომბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ-ის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და გერმანიის მაგდებურგის უნივერსიტეტის პროფესიული განათლებისა და მომზადების UNE-VOC ცენტრის თანამშრომლობით, სამხრეთ კავკასიაში პროფესიული განათლების განვითარების თემაზე, რეგიონული დუალური პროფესიული განათლების კონფერენცია ჩატარდა. საქართველოს აქვს ლიდერის როლი დუალური პროფესიული განათლების დანერგვაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. დუალური განათლების შესახებ იდეა სწორედ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ იქნა წარმოდგენილი საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ-ის მხარდაჭერით.

მინისტრის პირველი მოადგილე: „დღევანდელი კონფერენცია, გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაციის GIZ-ის მხარდაჭერით, მიეძღვნა პროფესიული განათლებისა და სამხრეთ კავკასიაში დუალური განათლების პრინციპების დანერგვის საკითხებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი მოიაზრება, როგორც დუალური განათლებით დაინტერესებული ქვეყნები და საქართველო ამ მხრივ ლიდერია. ნელს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციისა და შვეიცარიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით, გაეროს განვითარების პროგრამის ჩართულობით, საქართველოში ვინყვებთ დუალური პრინციპებით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას. ეს მონიხვევ გამოცდილება, რომელიც დანერგილია ევროპის ქვეყნებში დღეს გავიზიარეთ და ჩვენი წარმატებული გა-

მოცდილება უნდა გავაცნოთ მეზობელ ქვეყნებს.“ მარიტა რიგელი, GIZ-ის საქართველოს წარმომადგენლის ხელმძღვანელი: „დღევანდელი კონფერენცია მიზანია, იმ პროექტის შედეგების პრეზენტაცია, რომელიც გულისხმობს პროფესიული განათლების ლიდერების გადამზადებას გერმანიაში. ძალიან მოხარული ვართ, რადგან მოვისმინეთ სწორედ ამ 17 მონაწილის მიერ გერმანიაში დამუშავებული პროექტების შესახებ. აღნიშნული ინიციატივა გულისხმობს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენელთა გადამზადებას გერმანიაში. აღსანიშნავია, რომ პროექტი ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით.“

მომზადდა მაკა ყიფინაძე



სპორტი

ახალქალაქში მებობრობამ იზიარა

წინა კვირას, საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, ახალქალაქის №5 საჯარო სკოლამ საინტერესო ღონისძიებას უმასპინძლა – „მეგობრობის თასს“ მაგიდის ჩოგბურთში, რომელმაც სრულად გაამართლა სახელწოდება.

ამ შეჯიბრებას თავისი ისტორია აქვს. საქმე ისაა, რომ სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სასკოლო ინიციატივების“ ქვეპროგრამის გამარჯვებულია. ესაა სამინისტროს ზოგადი განათლების მხარდაჭერის „მიმდინარე პროგრამების“ ერთ-ერთი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო ინიციატივების დაფინანსებით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა და სასკოლო გარემოს განვითარების ხელშეწყობას. ამავე პროექტის მიზანია არაქარ-

თულენოვანი სკოლების მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო რესურსების შექმნა, მასწავლებლისა და მოსწავლის ჩართვა სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში, სხვადასხვა ტიპის მასობრივ ღონისძიებებში.

როგორც გითხარით, ახალქალაქის №5 საჯარო სკოლა ამ ქვეპროექტის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა, რამაც საშუალება მისცა, შეეძინათ მაგიდის ჩოგბურთის სამი კომპლექტი – მაგიდა და სხვა სახის ინვენტარი.

12 ოქტომბერს, სწორედ ამ ქვეპროექტის ფარგლებში, აღნიშნულ სკოლაში ჩატარდა „მეგობრობის თასი“, რომელიც ახალქალაქიდან (№5 სკოლის გარდა) მონაწილეობდნენ დამალას, სხვილისის, არაგვას სომხურენოვანი და ახალქალაქის №3, ახალციხის №1 და №5 ქართულენოვანი სკოლების გუნდები. ღონის-

ძიებას ატარებდა სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფედერაცია, ხოლო პარტნიორი იყო საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაცია, რომელიც დაეხმარა მასპინძლებს ტურნირის ორგანიზებაში და მაღალდონეზე ჩატარებაში. ღონისძიებას ესწრებოდნენ როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, ისე ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ადგილობრივი წარმომადგენლები. მხატვრულ ნომრებში მონაწილეობა მიიღეს თავად მასპინძელი სკოლის V კლასის მოსწავლეებმაც – ანი ამირბეკიანი და ხაჩატურ აივაზიანი. დაძაბული ბრძოლების შემდეგ გამარჯვ-

ბულის ტიტულს სოფელ არაგვას სკოლის გუნდი დაეუფლა, რომელმაც ფინალში დამალას გუნდი დაამარცხა, მესამეზე მასპინძელი, №5 სკოლა გავიდა, რომელმაც ბრინჯაოს მედალისთვის პაექრობაში სხვილისის საჯარო სკოლა დაჯაბნა. ოთხივე გუნდს გადაეცა მედალები, სიგელები და თასები. დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობდნენ სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ექსპერტი გია ბეგიაშვილი, ახალქალაქის რესურსცენტრის უფროსი თერეზა ჩიგინიანი და სხვები. მათ მიულოცეს მონაწილეებს წარმატება და ისაუბრეს მსგავსი სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე.



ლეგენდების კვალდაკვალ

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ მორიგ მასობრივ სპორტულ-სახალისო ღონისძიებას ჩაუყარა საფუძველი, რომელიც ამ დღეებში ჩაატარა ვაკის პარკში. ეს იყო საინტერესო სპორტულ-შემეცნიერებითი თამაში სახელწოდებით „ლეგენდების კვალდაკვალ“. ახალი თამაში ერთდროულად შეიცავს სპორტის, ინტელექტისა და სპორტული ტურიზმის ელემენტებს, მთავარი არის კი სპორტული ორიენტირებაა. თავის მხრივ, სპორტული ორიენტირება ევროპაში საკმაოდ გავრცელებული სახეობაა და პირდაპირ უკავშირდება ტურიზმს, ანუ ეს არაა მხოლოდ სპორტი. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში, ბალტიისპირეთში და სხვაგანაც, ნელინადის სხვადასხვა დროს ხალხმრავალი ფესტივალები ტარდება, სადაც ტურისტ მონაწილეთა რაოდენობა 20 000 კაცზე მეტიცაა. მსგავსი ღონისძიებები ემსახურება მასობრიობას და ტურისტთა მოზიდვას.

როგორც გითხარით, ქართული „ლეგენდების კვალდაკვალ“ ორიენტირების გარდა, სპორტსა და ინტელექტსაც შეიცავდა. თამაშის მონაწილეებს სხვადასხვა დაბრკოლებების გადალახვაც უნებდათ, რაც სპორტულ მომზადებას მოითხოვს, თუმცა, ამავდროულად, უნდა გამოეყვინათ ცოდნა, ინტელექტი, ლოგიკური აზროვნების უნარი, რადგან სირბილის დროს მათ რუკის დახმარებით უნდა მიეგნოთ საკონტროლო ნიშნულები, სადაც უკვე კითხვები ხვდებოდათ და გაეცათ მათზე სწორი პასუხები. ამ თამაშს ხუმრობით ასეც უწოდეს: „ჭადრაკის თამაში სირბილის დროს“, თავისი არსით კი ის ემსახურება ცხოვრებაში საჭირო ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, როგორცაა გუნდური მუშაობა, უცხო გარემოში ორიენტირება, ექსტრემალური სიტუაციაში სწრაფად გარკვევისა და გადაწყვეტილებების მყისიერად

მიღების უნარი, მონაწილეთან დამეგობრება და კავშირების დამყარება, რაც სამომავლოდაც გამოადგებათ ცხოვრებაში. ცხადია, აქტივობა ხელს უწყობს ფიზიკურ განვითარებას, რასაც ემატება ინტელექტუალური ნაწილი, რაც კითხვებშია ჩადებული.

კითხვარების შედგენისას ზოგადი განათლების გარდა, აქციენტი აიღეს სამოქალაქო განათლებაზე, რადგან ის ეხმარება ახალგაზრდებს საზოგადოებაში თავისი როლის მნიშვნელობისა და აუცილებლობის გააზრებაში. სწორედ ამ თვისებების გაძლიერებას ემსახურებოდა თამაშში დასმული შეკითხვები, რომლებიც მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტში. თუმცა კითხვები ასევე შეიცავდა საკითხებს სპორტის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და სხვა სფეროებიდან. ბარემ აქვე გეტყვი, რომ ამ სტარტების ორგანიზატორი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად იყვნენ თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, რომელმაც ფინანსურად უზრუნველყო მისი ჩატარება, აგრეთვე – საქართველოს სპორტული ორიენტირების ეროვნული ფედერაცია.

სასკოლო სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ ეს თამაშები, საბოლოო ქვეპროექტის ფარგლებში, პირველად, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესაც ჩაატარა, თუმცა მაშინ, როგორც უცხო ხილმა, მაინცდამაინც დიდი გამოხმაურება ვერ ვპოვა, მონაწილე კი დაიმსახურა და გადაწყდა, რომ თბილისის სკოლებში უფრო მასშტაბურად ჩატარებულიყო. ახლანდელი თამაშების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სურათი რადიკალურად შეიცვალა, მონაწილეთა დეფიციტი ნამდვილად არ ყოფილა და თამაშებში თბილისის უკლებლივ ყველა რაიონი ფართოდ

იყო წარმოდგენილი, ყოველი მათგანი რამდენიმე გუნდით. მის ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანა თავდაცვის სამინისტრომაც, რომელმაც გადაამზადა მონაწილეები, დაამზადარუკები და გამოყო სპორტული ორიენტირებისთვის საჭირო სპეციალური აპარატურა. თუმცა, პირველად მონაწილეებისთვის ტრენინგები სპორტული ორიენტირების ეროვნულმა ფედერაციამაც ჩაატარა.

თამაშები ორ ეტაპად ჩატარდა. პირველი სწორედ მონაწილეთა გადამზადებას დაეთმო, მეორე კი – უშუალოდ შეჯიბრებას, რომელიც ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ვაკის პარკში. პირველ დღეს საკვალიფიკაციო შეხვედრები გაიმართა, მეორე დღეს კი ფინალისტები გაეჯიბრნენ ერთმანეთს. გუნდები შერეული პრინციპით იყვნენ დაკომპლექტებული და თითოეული მათგანი ორი მონაწილისგან შედგებოდა – თითო გოგო და ბიჭი. თამაშის წესი საკმაოდ მარტივია – გუნდი, კომპასისა და რუკის დახმარებით, ეძებდა საკონტროლო ნიშნულებს, სადაც, როგორც გითხარით, კითხვები ხვდებოდათ.

საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ, ფინალში, თბილისის თითოეული რაიონიდან 3-4 საუკეთესო გუნდი გავიდა, რომელთაგანაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები. საბოლოო რეიტინგში ათეულში შესული გუნდები – მოსწავლეებიც და პედაგოგებიც დაჯილდოვდნენ სიგელებით, ნიგნებიც და სხვადასხვა სახის ფასიანი საჩუქრებით. დასაჩუქრდნენ პირველ ოთხეულში მოხვედრილი სკოლებიც, ოღონდ გაცილებით გულუხვად – მათ ფულადი პრემიები გადაეცათ საჭირო სპორტული თუ საგანმანათლებლო ბაზის დასაკომპლექტებლად.

საბოლოოდ, რეიტინგის მიხედვით სკოლებს შორის 90-ე საჯარო სკოლამ გაიმარჯვა და ჯილდოდ 600 ლარი მიიღო; მეორეზე 84-ე სკოლა გავიდა, რომელსაც 500 ლარი ერგო; მესამე დედაქალაქის 118-ე საჯარო სკოლა აღმოჩნდა და 400 ლარით დაჯილდოვდა, მეოთხე კი – 120-ე სკოლა, რომელსაც 100 ლარი გადაეცა.





მიმდინარეობს ხელმოწერა

თავარ პერიტიკული ამირან გომარტილი

ტულსუი

ქართულ ლიტერატურაში

საბჭოთატი გამოსცდისათვის

წიგნი I

- ჟურნალის ნაგვამ
- ავტორების ნაგვამ
- ჰარტიულ ხანტილის ცხოვრება
- სიზრდნი სიძროისა
- ღვინტიანი

წიგნი I კველი ქართული მწერლოზა

თავარ პერიტიკული ამირან გომარტილი

ტულსუი

ქართულ ლიტერატურაში

საბჭოთატი გამოსცდისათვის

წიგნი II

ჟოტა რუსთაველი ვეფსისტიყოსანი

წიგნი II „ვეფსისტიყოსანი“

თავარ პერიტიკული ამირან გომარტილი

ტულსუი

ქართულ ლიტერატურაში

საბჭოთატი გამოსცდისათვის

წიგნი III

- ჰარტიულ ორბლიანი
- ნიქოლოზ ჰარტილსუიტი
- ილია ჟავახიძე
- აკაკი წერტილი
- კლდისნდრედი ჟავახი
- ვაჟა ფშაველა

წიგნი III XIX საუკუნის მწერლოზა

თავარ პერიტიკული ამირან გომარტილი

ტულსუი

ქართულ ლიტერატურაში

საბჭოთატი გამოსცდისათვის

წიგნი IV

XX საუკუნის მწერლოზა

- ზვიად ჰარტილსუიტი
- ილია ჟავახიძე
- კონსტანტინე ჰარტილსუიტი
- ზაქარია ჰარტილსუიტი

წიგნი IV XX საუკუნის მწერლოზა


თითო ტომის ფასი - 12 ლარი

საყვანვილო ენტიკლოპედიკა რა პრის რა

თითო ტომის ფასი - 9 ლარი



ევროპა



უკველსი ადამიანი



ამინდი



არტიმეტიკური



კრიტიკული



ჯანსალი კვება



მთავი



ოლიმპიური თამაშები



მემორიალები



ქიმიკა



ხალსთა ღიღი გარსსელება



მწიწიარებაები

ხელმოწერის თანსა გდმორიცხთ რაკვიტიტაზა:

მიმღები - შპს „ახალი განთილეზა“,
 ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
 ს/ს „ლიბერთი განიკი“, ბ/კ LBRTGE22

ყურადღეზა! ფიტიკურმა პირეზმა,
 თანსის გდმორიცხვისსას, მიუთიტიეტი პირადი ნომერი




მასწავლებლის გიგლიოთაქა

ინოვაციური გაკვეტილები დაწყებით კლასეზში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასეზისთვის აქტუალური სწავლეზის მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეტილის სცენარეები ქართულში, მათემატიკაში და ზუნეზაში. სახელმძღვანელო დაეზმარება მასწავლებლს მოსწავლეზს განუვითაროს: წიგნიეზების, მღღიანიგნიეზების, მათემატიკური წიგნიეზებისა და კვლევიტი უნარები, კრიტიკული და შემოქმდევიტი აზროვნეზა.

6,50 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალეზას აქლევს მასწავლებლს:

1. საჭიროეზისამეზრ შეავსოს გაკვეტილის დაგეზგვის სქემეზის მოკლე ან სრული ვარიანტიეზი;
2. გავცნოს გაკვეტილის დაგეზგვის რეკომენდაციეზს;
3. გავცნოს გაკვეტილის მოკლე და დეტალურად დაგეზგვის ნიგმუეზს.

4 ლარი

კათედრის გაგვის პორტფოლიო



კათედრის გაგვის პორტფოლიო საშუალეზას აქლევს კათედრის გაგვის აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნიანოეზები. შესავსეზები სქემეზის, ცხრილეზისა და კათედრის სხდომის ოქმეზის გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციეზს, რაც დაეზმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოეზაში და მისი საგნიანოეზის განსორცილეზაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების ქრეზული



ქრეზული აღწერილია ინტერაქტიური სწავლეზის მეთოდები; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტიპოზრივი აღწერა; განსილეულია, რა უნარეზს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახლეზულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპიროეზა. ქრეზულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი



2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შეღვენილი, რომ მასწავლებლს მთელი სასწავლო წლის განმავლოზაში შეუქლია დაგეზგვის და გინიწნოს მისთვის საჭირო და სასურველი აქტივოეზები და ინფორმაციეზი. კალენდარი ყოველკვირულად აწვდის მასწავლებლს მისთვის მინიშნევილმეზან პრაქტიკულ, კეღავოგვიურ რეგვის თუ საჭირო ინფორმაციეზს. კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთმენილი შესავსეზები გაკვეტილების ცხრილი, მინიშნევილოზანი აქტივოეზების რეესტრი და თავისუფალი ფურცილეზი, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებლს ყველა საჭირო ინფორმაციეზი ერთად ჰქონდეს განთავსეზული.

5,50 ლარი

